პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი კვირა 2 ნოემბერი № 252 (17895) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲝ!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ცნობას, რომ რესპუბლიკის დამზადების სამინისტროს სისტემაში ვადამდე შესრულდა მეათე ხუთწლედის დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით.

საგულისხმოა, რომ დარგის მოწინავე შრომითმა კოლექტივებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს პროდუქციის წარმოების ეფექტიანობის განუხრელი ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ, ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე მიაღწიეს წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის უპირატეს ტემპს. ხუთწლედის დამდეგიდან გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 22 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, გეგმასთან შედარებით 0,6 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. მიღებულია თითქმის 53 მილიონი მანეთი მოგება, რაც მილიონ 100 ათასი მანეთით აღემატება დაგეგმილს. წარმატებით შესრულდა კაპიტალურ დაბანდებათა ათვისების გეგმა-ვალდებულებანი, მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობანი.

სახიბარულია, რომ ეს წარმატება მოპოვებულია დარგის საწარმოთა და ორგანიზაციათა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების დიდი პოლიტიკურ-ორგანიზატორული მუშაობის, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობისადმი დაკვირვებული მიდგომის, სახელმწიფო, ფინანსური და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლის გაძლიერების, მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვის მეოხებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ და გულთამდე გილოცავენ დიდ შრომითს გამარჯვებას, გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ ჩვენი რესპუბლიკისათვის დიდმნიშვნელოვანი დარგის მუშაკები არ დასჯერდებიან მიღწეულს, ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდებიან მომავალ სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო,
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო,
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი.

ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲡᲘᲒᲜᲐᲚᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ

იდია ადგილობრივი საბჭოების როლი სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფის, თითოეული მოქალაქის აქტიურობის ამაღლებასა და გაძლიერებაში, სახელმწიფო, საზოგადოებრივი და მოქალაქეთა პირადი საქმეების მოგვარებაში.

სწორედ ამიტომ არის, რომ ბევრი ჩვენი მოქალაქე წერილებით, საჩივრებითა და განცხადებებით მიმართავს ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს. ცხადია, მათ საკითხების სულ სხვადასხვა მხარე აინტერესებთ. ზოგი საზოგადოებრივი საქმით, ზოგი კი ოჯახური თუ მეზობლური ურთიერთობით არის დაინტერესებული, და, რა თქმა უნდა, საბჭოების აღმასკომების ყველა რგოლის მუშაკის მოვალეობაა ყურადღებით მოეკიდოს ადამიანთა საჭიროებებს, ობიექტურად განიხილოს თხოვნა, საგანგებო, მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კანონიერების დაცვას, წესრიგისა და წესიერების განმტკიცებას.

ახლა ადგილობრივი საბჭოების მუშაობის პრაქტიკაში იშვიათი როდია, როცა მოქალაქეთა საჭირბოროტო, ოჯახურ თუ მეზობლურ სადავო საკითხებს ოპერატიულად და გონივრულად წყვეტენ. ასეთი საკითხების მოსაგვარებლად აღმასკომები საჭიროებისამებრ საცხოვრებელ ადგილებში მიდიან, მართავენ სხდომებს, იღებენ მთხოვნელებს, ყურადღებით უსმენენ, აზუსტებენ მოსაზრებებს, წინადადებებს თუ სადავო საკითხებს. ამით, ცხადია, აღწევენ კანონიერების დაცვას, დანაშაულობათა და დარღვევათა აღკვეთას.

საჩივრების განხილვისათვის მუშაობის ასეთი პრაქტიკის ფართოდ დანერგვა განსაკუთრებით ეფექტიანია საყოფაცხოვრებო კონფლიქტების განხილვის და გადაწყვეტის დროს, რადგან ადგილზე მოქალაქეთა დავის გადაწყვეტა ხელს უწყობს წესრიგის განმტკიცებას, ოჯახური, მეზობლური კინკლაობის ნიადაგზე დანაშაულობათა და დარღვევათა აღმოფხვრას. ამ მხრივ მუშაობის კარგი გამოცდილება აქვთ თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის, საგარეჯოს, აბაშის და სხვა ქალაქებისა და რაიონების საბჭოების აღმასკომებს.

ადამიანის მოთხოვნებისადმი ყურადღება და გულისხმიერება საბჭოების ყველა საფეხურის ხელმძღვანელთა უპირველესი მოვალეობაა, ისინი ვალდებული არიან დროზე და ობიექტურად განიხილონ საჩივრები, მიიღონ ქმედითი ზომები, არ დაუშვან კონფლიქტური სიტუაციების გამწვავება, კანონების დარღვევა, დაკვირვებული ხელმძღვანელი არასოდეს აარიდებს თავს ადამიანის საყოფაცხოვრებო საკითხებს, ოჯახში თუ მეზობლურ ურთიერთობაში დაძაბულობის აღმოფხვრისათვის ენერგიის დახარჯვას. საბჭოს აღმასკომის კარგი, მონდომებული ხელმძღვანელი, რაც უნდა დატვირთული იყოს საქმეებით, მაინც გამონახავს დროს წაიკითხოს წერილები, ყურადღებით მოხსენიოს საყოფაცხოვრებო ხასიათის საჩივრები, შეარიგოს მოდავეები. ასეთი პრაქტიკიდან, ალბათ, შორს არიან მახარაძის რაიონის გურიანთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუშაკები. აქ წარწან და წელს საყოფაცხოვრებო საკითხებზე მოსახლეობის მიერ შემოტანილი 188 განცხადებიდან არც ერთი არ განუხილავთ და არც პასუხი გაუცია. სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები — განცხადებებზე, საჩივრებზე პასუხის გაუცემლობა — იყო ცხინვალის, წითელწყაროს, გურჯაანის, მცხეთის და სხვა რაიონებში.

სტატისტიკური მონაცემებით, სიხშირის სამართლის დანაშაულობანი, რომლებიც ოჯახებში თუ მეზობლებს შორის დაძაბული ურთიერთობის შედეგად ხდება, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, მუდმივი კომისიების, დეპუტატების უმოქმედობითაც არის გამოწვეული. ცხადია, საყოფაცხოვრებო კონფლიქტების გამო სიგნალებისადმი გულგრილი დამოკიდებულება დანაშაულობათა წარმოშობის რეალურ შესაძლებლობებს ქმნის, რაც ხშირად მძიმე შედეგებით მთავრდება. მაგალითად, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩალაურის სასოფლო საბჭოს აღმასკომში კარგად იცოდნენ, რომ წლების მანძილზე დაძაბული ურთიერთობა იყო მოქალაქე თ. კახიძესა და მის დედამთილს შორის, მაგრამ სიგნალს ყურადღება არავინ მიაქცია: საბჭოს აღმასკომის, დეპუტატების, საზოგადოების ასეთი უყურადღებობას ტრაგიკული შედეგი მოჰყვა.

ან კიდევ ასეთი ფაქტები: მცხეთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის უყურადღებობისა და საქმისადმი უპრინციპო დამოკიდებულების გამო უკვე ხუთი წელია მიწის ნაკვეთის გამო დავობენ ძმები მამულაშვილები. ასევე დაუხრულებელი დავა აქვთ მოქალაქეებს მაჩხანელსა და არეშოს, რომლებიც ვერა და ვერ შეთანხმებულან საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროექტზე, ხოლო მ. და ლ. მრეგლიშვილები მემკვიდრეობითი ქონების გაყოფის თაობაზე კარს უტალახებენ ადგილობრივ ორგანოებს. ვერც თბილისის ლენინის რაისაბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა დროულად და უკვე 15 წელია გრძელდება მეზობლების შ. ვეფხვიშვილისა და ვ. მღებრიშვილის დავა სახაზღვრო კედლის აშენების გამო.

საყოფაცხოვრებო დავის მოგვარების საქმეში არც ცხინვალის საქალაქო საბჭოშია ყველაფერი რიგზე. ამაზე მეტყველებს მიწის ნაკვეთის გამო მოქალაქეებს ლატაშვილსა და ბუგიანაშვილს შორის ატეხილი შეხლა-შემოხლა, რომელსაც უკვე 12 წელი ისტორია აქვს. საყოფაცხოვრებო საკითხებზე კონფლიქტების მოუგვარებლობის ფაქტები არის გორის რაისაბჭოს, ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომებში და სხვა რაიონებსა და ქალაქებში.

ერთი სიტყვით, ხშირია შემთხვევები, როცა საყოფაცხოვრებო კონფლიქტების თაობაზე აღმასკომში შემოხულ სიგნალებს ფორმალურად ეკიდებიან, თავს არ იწუხებენ, რომ შეისწავლონ სადავო საკითხები და ობიექტურად მოაგვარონ მეზობლური თუ ოჯახური ურთიერთობა. სამწუხაროდ, ზოგჯერ ასეთ საჩივრებსა და განცხადებებს თავიდან იცილებენ, ერიდებიან საყოფაცხოვრებო დავის მოგვარებას. ასე მოხდა მაგალითად, ქუთაისის საქარხნო რაიონში, როცა მოქალაქეების ზ. ჯაშისა და რ. ხვანიძის სადავო საჩივარი საქარხნო რაიონის საბჭოს აღმასკომმა შინაგან საქმეთა განყოფილებას გადაუგზავნა, ამ უკანასკნელმა კი ზომების მიღება მეექვსე საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის ამხანაგურ სასამართლოს დაავალა, რომელმაც ვერ შეძლო საქმეში გარკვევა და, ცხადია, ვერც ვერავითარი გადაწყვეტილება ვერ მიიღო.

ზოგჯერ ადგილობრივი საბჭოების მუშაობის ნაკლი და ხარვეზი ის გახლავთ, რომ საფუძვლიანად და ყურადღებით ვერ სწავლობენ საჩივრების ხასიათს, იმას, თუ ყველაზე მეტად რა აღელვებთ ამა თუ იმ ქალაქს, რაიონს, სოფლის მშრომელებს, რაზე მამართავენ აღმასკომებს, რა მოვლენებია ნიშანდობლივი და დამახასიათებელი. ამ კითხვებზე პასუხის გაცემას საჩივრების გულდასმით განალიზება სჭირდება. სწორედ ასეთი ანალიზების უქონლობით აიხსნება, რომ მოდავეები ბევრჯერ შემდგომ ორგანოებს მამართავენ ისეთი თხოვნით, რომლის მოგვარება ადგილზევე შეიძლება.

ჩვენს რესპუბლიკაში ახლა დიდი მუშაობა მიმდინარეობს მშრომელი ადამიანებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების დასამკვიდრებლად. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგად განუხრელად ხორციელდება პარტიის დევიზი, „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“.

ამას წინათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი მოქალაქეთა საჩივრების განხილვის დროს კანონმდებლობის დაცვის გაძლიერების თაობაზე და მეტად საჭირო ღონისძიებები დასახა. ამ მხრივ უთუოდ მისასალმებელია პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესანიშნავი ინიციატივა, რომელმაც ახლახან თავის მორიგ VIII პლენუმზე საინიციატივო, ფუნქციურად იმჯერად მშრომელთა წერილებზე მუშაობის, მოქალაქეთა მიღების მდგომარეობის და მის შემდგომი გაუმჯობესების საკითხზე. პლენუმმა მეტად მნიშვნელოვანი დადგენილება მიიღო, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობს ამ მიმართულებით მუშაობის კიდევ უფრო გაუმჯობესებას.

ჩვენი მოქალაქეების, მშრომელთა ფართო მასების წერილების, საჩივრების, სიგნალების დროულად და ობიექტურად განხილვისა და გადაწყვეტის ზუსტი ორგანიზაცია დიდმნიშვნელოვანი პარტიული და სახელმწიფო საქმეა. განსაკუთრებით ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ საყოფაცხოვრებო სადავო სიგნალებს. ამით თავიდან ავიცილებთ დანაშაულობებს, საბჭოთა კანონების უხეშ დარღვევებს.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲙᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე აღმართეს საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა

საქართველოს პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის მისალმება საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისადმი მოპოვებულ დიდ გამარჯვებასთან — მეათე ხუთწლედის ვადამდე შესრულებასთან დაკავშირებით. მან გამოთქვა რწმენა, რომ დამამზადებლები ყველაფერს იღონებენ, რათა განამტკიცონ და განავითარონ მიღწეული წარმატება, შეასრულონ გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

სპასუხო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ დამზადების მინისტრმა შ. ჭანუყვაძემ.

რესპუბლიკის დამზადების სამინისტროს სისტემის მუშაკებს გულთბილად მიესალმნენ თბილისის № 1 პურკომბინატის მოწინავე მუშა ზ. კონდრატიევა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გ. ყიფიანი, სოხუმის წისქვილქარხნის ცვლის უფროსი ა. ფაჩალია, ფოთის წისქვილქარხნის დირექტორი ა. ხორავა, საშუალო სკოლის მოსწავლე ნ. მიჩილაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ჯ. ჩარკვიანი.

გაისმა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნების ჰანგები და დამზადების სამინისტროს სისტემის მუშაკთა პატივსაცემად, რომლებმაც დიდს შრომითს გამარჯვებას მიაღწიეს, აღიმართა რესპუბლიკის დროშა. (საქინფორმი).

რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის კოლექტივი წარმატებით დგას სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე.

საყრილობო ვახტზე დამკვრელურად შრომობს ახალგაზრდა მჭსოველი მაია ავგულაევა. ერთი წლის წინათ, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, იგი საწარმოში მოვიდა, დღეს კომკავშირელი გრაფიკის მნიშვნელოვანი გასწრებით შრომობს, უშვებს ჩინებული ხარისხის პროდუქციას.

სურათზე: რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მოწინავე მჭსოველი კომკავშირელი მაია ავგულაევა.

მ. დათიკაშვილის ფოტო, საქინფორმის ფოტოქრონიკა.

● ●

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის საწარმოო გაერთიანების „ჩარხმშენებლის“ აფწყობი ზეინკალი, კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი რომან ორაგველიძე პარტიის XXVI ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას და ამყამად მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობს.

სურათზე: რ. ორაგველიძე.

ა. სააკოვის ფოტო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲭᲘᲓᲠᲝ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲗ

მეცადინეობა განაახლა საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნების და პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების სკოლამ, რომელიც სწავლობს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის თეორიის, მეთოდიკისა და პრაქტიკის აქტუალურ პრობლემებს „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად. ისევე, როგორც წინა წლებში, სკოლა მიზნად ისახავს კონკრეტული, საქმიანი დახმარება გაუწიოს რესპუბლიკის იდეოლოგიურ აქტივს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ღრმა, შემოქმედებითს შესწავლაში, მასების პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მეცნიერული საფუძვლების დაუფლებაში, უზრუნველყოს პარტიული კომიტეტების საქმიანობის მოწინავე გამოცდილების გაზიარება, ჩაუნერგოს მშრომელთა კომუნისტური აღზრდის პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენების ჩვევები.

განსაკუთრებით შინაარსიანი იქნება მეცადინეობა ამ სასწავლო წელს, რომელიც მიმდინარეობს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის ფართოდ გაშლილი საყოველთაო სახალხო მზადების ნიშნით. იგი შეიცავს ჩვენი ქვეყნისა და რესპუბლიკის კომუნისტთა ამ ფორუმების მასალების გაცნობასა და შესწავლას, ემოხვევა საბჭოთა საზოგადოების ახალ მიჯნებზე — მეთერთმეტე ხუთწლედის მიჯნებზე ყოველდღიურად მიიღებენ 550 ტონა ხორცსა და ხორცის ნაწარმს, მათ შორის 210 ტონა ძროხის ხორცს, 147 ტონა ფრინველის ხორცს, 173 ტონა ყველს, მილიონ 100 ათას ცალ კვერცხს და სხვა პროდუქტებს. მოსახლეობას მიეყიდება დიდძალი პურისა და სიმინდის ფქვილი, კარტოფილი, ხილ-ბოსტნეული, მინერალური წყალი, ღვინო და შამპანური. განვმარტავ კონკრეტული ციფრებით: თბილისის სავაჭრო ქსელში ყოველდღიურად შემოვა 90 ტონა კარტოფილი, 50 ტონა ხილი, 121 ტონა ბოსტნეული...

ისევე როგორც წინა წლებში, ბევრ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში ეწყობა ნახევარფაბრიკატების, კულინარული და საკონდიტრო ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა, გაფართოვდება გაყიდვა წინასწარი შეკვეთებით. ერთი სიტყვით, ვაჭრობის პროგრესული ფორმები ჩვენს დიასახლისებს დაეხმარება ეს ზეიმი გაატარონ სადღესასწაულო სუფრასთან და არა სამზარეულო ქურასთან.

სადღესასწაულო ვაჭრობის დღეებში უფრო ინტენსიური ვაჭრობა იქნება ქალაქის საოლქო-მეურნეო ბაზრებშიც. რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები აქ ჩამოიტანენ ფრინველს, კვერცხს, კარტოფილს, ლობიოს, ყველს, სიმინდის ფქვილს, ხილს, ნიგოზს და ა. შ. სურსათ-სანოვაგის სიუხვე უზრუნველყოფს ზამთარ საბაზრო ფასებსაც.

სახელმწიფო ვაჭრობის მაღაზიებში სუვენირებთან და სასაჩუქრო ნაწარმთან ერთად ფართო ასორტიმენტით გაიყიდება კულტურულ-სამეურნეო საქონელი, ტანსაცმელი, ქსოვილები, ფეხსაცმელი.

ალბათ იკითხავთ: როდის დაიწყება სადღესასწაულო ვაჭრობა? შაბათი და კვირა ჩვენთვის, ასე ვთქვათ, ერთგვარი ვენერალური მომზადება იქნება. ამ დღეებში უნდა მივაღწიოთ სავაჭრო ობიექტების სანიმუშო სანიტარიულ მდგომარეობას, მოვამზადოთ ისინი დიდძალი პროდუქტების მიღებისათვის. ინტენსიური ვაჭრობა კი დაიწყება ორშაბათიდან — 3 ნოემბრიდან. ერთი სიტყვით, ხორციელდება ყველა ღონისძიება, რათა სადღესასწაულო ვაჭრობა მაღალ დონეზე მოეწყოს.

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ

დიდი ოქტომბრის დღესასწაულს აქ ყოველი საბჭოთა ოჯახი აღნიშნავს. წინასწარ ემზადებიან ზეიმისათვის და ამიტომაც არის ასეთი გამოცოცხლება მაღაზიებში, საკოლმეურნეო ბაზრებში.

ვაჭრობის საწარმოებმა გაითვალისწინეს, რომ ამ დღეებში განსაკუთრებით გაძლიერდება მყიდველთა მოთხოვნა და ამიტომაც გაცხოველებით ემზადებიან სადღესასწაულო ვაჭრობისათვის. ხოლო ზუსტი და შეუფერხებელი სადღესასწაულო ვაჭრობის ორგანიზება ო

ალი ქალაქი როდია. სწორედ ამის შესახებ ესაუბრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი გ. ქობლიანიძე.

— თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, რუსთავის, ცხინვალისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონული ცენტრების მოსახლეობას სადღესასწაულო ვაჭრობის დღეებში სურსათის, სხვადასხვა ასორტიმენტის სამრეწველო საქონლის ფართო არჩევანი ექნება, — თქვა მინისტრმა. — რესპუბლიკაში შექმნილია სურსათ-სანოვაგის ისეთი მარაგი, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ჩვენ ხაზს ვუსვამთ ამ გარემოებას და მადლობას მოვახსენებთ მინდვრებისა და ფერმების მშრომელებს, მრეწველობის მუშაკებს, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის შესახვედრად გაჩაღებულ შეჯიბრებაში კარგ შედეგებს აღწევენ და სამშობლოს უპატაკებენ მიმდინარე წლისა და მთლიანად მეათე ხუთწლედის გეგმებისა და გადიდებული ვალდებულებების შესრულებას.

ახლანდელი სადღესასწაულო ვაჭრობა უფრო მაღალ დონეზე ჩაივლის წინა წლებთან შედარებით. ახლა მას უძღვიანან პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანოები. და ეს ხანმოკლე კამპანია როდია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით დასახულ უპირველეს ამოცანებს შორის ხომ ერთ-ერთი მთავარია სასურსათო პროგრამა, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდება და ხარისხის გაუმჯობესება.

ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა სადღესასწაულო ვაჭრობის დღეებშიც გამოჩნდება. მაგალითად, მარტო თბილისისა და რუსთავის მაღაზიები ყოველდღიურად მიიღებენ 550 ტონა ხორცსა და ხორცის ნაწარმს, მათ შორის 210 ტონა ძროხის ხორცს, 147 ტონა ფრინველის ხორცს, 173 ტონა ყველს, მილიონ 100 ათას ცალ კვერცხს და სხვა პროდუქტებს. მოსახლეობას მიეყიდება დიდძალი პურისა და სიმინდის ფქვილი, კარტოფილი, ხილ-ბოსტნეული, მინერალური წყალი, ღვინო და შამპანური. განვმარტავ კონკრეტული ციფრებით: თბილისის სავაჭრო ქსელში ყოველდღიურად შემოვა 90 ტონა კარტოფილი, 50 ტონა ხილი, 121 ტონა ბოსტნეული...

ᲞᲐᲠᲐᲓᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡᲗᲐ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ

31 ოქტომბერს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა წითელ მოედანზე მოსკოვის გარნიზონის ჯარების დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 63-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მომავალი სამხედრო პარადის წვრთნა საზეიმო კრება.

გაისმის მარში და დარბაზში შემოაქვთ მოსკოვის ლენინის ორდენოსანი სამხედრო ოლქის, პარადის მონაწილე ნაწილებისა და შენაერთების საბრძოლო დროშები.

კრებაზე გამოვიდა მოსკოვის ლენინის ორდენოსანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი არმიის გენერალი ვ. ლ. გოვოროვი.

პარადის მონაწილეებს გულთბილად მიესალმა მშენებელმა სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ა. ზატვორნიცკიმ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ბ. ა. რუდენკომ, სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავმა, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირმა პოლკოვნიკმა ი. ვ. რომანენკომ, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. ა. ობრომიმ. (საკდესი).

ᲓᲦᲔᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘᲗ

● ᲖᲝᲢᲐ ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲛᲝᲛᲙᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲠᲘᲗᲘ ᲚᲘᲠᲘᲙᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲘᲛᲝᲣᲨᲔᲑᲘ (მე-4 გვ.).

* * *

ᲔᲨᲛᲐᲙᲝᲑᲐᲨᲘ ᲕᲑᲠᲓᲔᲑᲘ
ᲓᲐ ᲐᲠᲒᲝᲗᲣ ᲘᲡᲔ ᲣᲘᲚᲑᲚᲝᲓ.
ᲛᲔ ᲕᲘᲧᲝ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲔᲨᲛᲐᲙᲘ,
ᲡᲮᲕᲐᲖᲔ ᲔᲨᲛᲐᲙᲘ ᲗᲣ ᲕᲘᲧᲝ.
ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲔ ᲠᲐ ᲕᲐᲠ?
ᲔᲠᲗᲘ ᲠᲩᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲯᲘ ᲕᲐᲠ,
ᲛᲣᲚᲢᲘᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲖᲦᲐᲞᲠᲔᲑᲘᲡ,
ᲡᲐᲜᲬᲧᲐᲚᲘ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲟᲘ ᲕᲐᲠ.
ᲜᲐᲦᲘᲓ ᲔᲨᲛᲐᲙᲘ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲮᲐᲠ,
ᲗᲣ ᲓᲠᲝ-ᲟᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲘᲮᲛᲐᲠ,
ᲗᲣ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲐᲛᲝᲛᲓᲒᲔᲑᲘ ᲮᲐᲠ
ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲚᲘ ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲜᲘ ᲰᲒᲝᲜᲘᲮᲐᲠ.
ᲒᲘᲜᲐᲮᲐᲕᲗ ᲛᲝᲬᲛᲐᲛᲑᲠᲘᲕᲘ
ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲡᲐᲯᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲜᲘ?
ᲛᲐᲦᲐᲚᲣᲠᲒᲘᲐᲜ ᲡᲐᲛᲔᲑᲖᲔ
ᲤᲠᲔᲡᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲜᲘ?
ᲘᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲑᲔᲠᲢᲧᲘᲚᲘᲐ,
ᲘᲡᲔᲗᲘ, ᲖᲝᲒᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ.
ᲘᲛᲘᲗᲐᲜᲐᲛ, ᲦᲛᲔᲠᲗᲝᲛ, ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲕᲐᲠ
ᲛᲐᲛᲐ ᲐᲑᲠᲐᲛᲘᲡ ᲑᲐᲢᲙᲐᲜᲘ.
ᲒᲘᲜᲐᲮᲐᲕᲗ ᲯᲘᲜᲘᲡᲔᲑᲘᲐᲜᲘ,
ᲬᲕᲔᲠᲝᲡᲐᲜ-ᲗᲛᲐᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲘ,
ᲑᲘᲠᲐᲓ ᲨᲔᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲭᲐᲑᲣᲙᲘ
ᲞᲝᲞ-ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲩᲘᲚᲘᲐ?
ᲛᲔ ᲕᲘᲧᲝ ᲡᲐᲧᲓᲠᲘᲡ ᲖᲐᲠᲐᲙᲘ,
ᲨᲔᲛᲧᲣᲠᲔ ᲛᲔᲦᲕᲓᲚᲘᲡ ᲜᲐᲡᲣᲤᲠᲐᲚᲘᲡ,
ᲗᲣ ᲛᲐᲗᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲠ ᲛᲜᲐᲛᲓᲔᲡ
ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲣᲤᲐᲚᲘ.

ᲬᲣᲗᲘᲡᲘᲡᲤᲔᲚᲘ ᲝᲛᲘᲐ,
ᲝᲛᲘ ᲤᲣᲢᲙᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲠᲐᲖᲐᲜᲘᲡ.
ᲐᲥᲚᲔᲛᲘᲡ ᲥᲣᲠᲓᲘ ᲜᲔᲛᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲠᲓᲡ
ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲪᲘᲮᲔᲨᲘ ᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ.

● ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ ᲐᲚᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲓᲠᲝᲨᲐ (1-ᲚᲘ �გᲕ.).

● ᲜᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘ Კ. ᲩᲔᲠᲜᲔᲜᲙᲝᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲓᲐᲜ (მე-2 გვ.).

● ᲐᲨᲨ-ᲨᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲪᲘᲤᲒ-ᲪᲮᲔᲚᲔᲑᲐ (მე-3 გვ.).

კ. ჩერნენკო

პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობის საკითხები



საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში მიმდინარე პოზიტიური პროცესები, მიზანმიმართული პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შედეგები სულ უფრო კრისტალდება რესპუბლიკის ეკონომიკის მიღწევებში.

და ეს განსაკუთრებით გამოჩნდა სკკპ XXVI ყრილობისათვის მზადების დღეებში, მეათე ხუთწლედის ფინიშზე. ცხადია, ყველაფერი ეს მიღწეულია პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის, მასებში კომუნისტების გავლენისა და ავანგარდული როლის ამაღლებით, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისადმი უმკაცრესი მოთხოვნით, ხელმძღვანელი კადრების შერჩევისა და განაწილებისათვის სისტემატური პარტიული ზრუნვით.

ეჭვგარეშეა, რომ ყოველივე ამას დიდი რეზონანსი აქვს, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც, მხურვალედ უჭერენ მხარს კეთილმოსურნენი და საქმიანად ეხმაურებიან. განსაკუთრებულ ინტერესს ინვევს პარტიული მშენებლობის აქტუალური საკითხებისადმი მეცნიერული, შემოქმედებითი მიდგომა, რაც პრაქტიკას ეხმარება და ამდიდრებს.

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებმა იციან, რომ ახლახან მოსკოვში პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს წიგნი „პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობის საკითხები“. (იხ. გაზ. „კომუნისტი“ 1980 წლის 5 ოქტომბერი).

დღეს „კომუნისტის“ მკითხველებს ვთავაზობთ ამ წიგნის ნაწყვეტს, სადაც ლაპარაკია საქართველოს პარტიული ორგანიზაციის, მისი ცენტრალური კომიტეტის მუშაობის გამოცდილებაზე. ვფიქრობთ, რომ მისი გამოქვეყნება პარტიული კონფერენციების წინ დაეხმარება დელეგატებს სწორად შეაფასონ საანგარიშო პერიოდი, კრიტიკულად განიხილონ გაწეული მუშაობა და დასახონ მომავლის პრაქტიკული ღონისძიებანი.

პარტიული მუშაობის სრულყოფის, პარტიული და სახელმწიფო აპარატის საქმიანობის გაუმჯობესების საგრძნობი პოზიტიური ძვრა მოხდა უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში. ღონისძიებებმა, რომლებიც რესპუბლიკის პარტიულმა კომიტეტებმა, ყველა კომუნისტმა განახორციელეს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად, ხელშესახები დადებითი ნაყოფი გამოიღო. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის, ბევრი საქალაქო და რაიონული კომიტეტისათვის, მათი აპარატისათვის დღეს დამახასიათებელია დიდმნიშვნელოვანი და რთული ეკონომიკური და სოციალური საკითხების გადაწყვეტის ყველაზე ეფექტიანი გზების შემმუშავებლობა ძიება, ეკონომიკის მართვის პრობლემებისადმი მეცნიერული მიდგომა, ყველაზე დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანების განხილვაში ფართო პარტიული აქტივის, მშრომელი მასების ჩაბმა და მართვის სრულყოფის ღონისძიებათა შემუშავება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სარეგიონო კომისის წევრები დღენიადაგ დიდი დატვირთვით მუშაობენ. ისინი თვითონ დიდ აქტიურობასა და შემოქმედებითს ინიციატივას იჩენენ რესპუბლიკის ეკონომიკური და კულტურული განვითარების პრობლემების გადაჭრაში, მონაწილეობენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების, პარტიული და პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებების მომზადებასა და ჩატარებაში, მეთაურობენ კომისიებს, მშრომელთა კოლექტივების კრებებზე ყოფნასაც მოხსენებებს სხვადასხვა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხზე. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მნიშვნელობას არც ერთი ღონისძიება არ ხორციელდება რესპუბლიკაში ისე, რომ მასში აქტიური მონაწილეობა არ მიიღოს არჩევითმა პარტიულმა აქტივმა.

ასე იყო 1977 წელს, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გასადიდებლად. საქართველოს სსრ ყველა მშრომელისადმი მიმართვაში — „ხორცის წარმოების გადიდება ჩვენი საერთო საქმეა“ — გაანალიზებული იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამ უმნიშვნელოვანესი უბნის მდგომარეობა, გაანისაზღვრა გამოუყენებელი რეზერვების ძიების გზები. ვითარება მოითხოვდა, რომ ადგილებზე ამ მუშაობის უშუალო ორგანიზატორი ყოფილიყო რესპუბლიკის პარტორგანიზაციის აქტივი. ამასთან დაკავშირებით მომზადდა და რესპუბლიკის პარტორგანიზაციის ცენტრალური არჩევითი ორგანოების წევრებს დაეგზავნათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების პროექტი ამ საკითხის გამო. რეკომენდებული იყო ოპერატიულად გამოეთქვათ აზრი პროექტში დასახული ორგანიზაციული ღონისძიებებისა და ამ მუშაობაში ცენტრალური კომიტეტის მთელი შემადგენლობის ჩაბმის ფორმების შესახებ. გადაწყდა რაიონებსა და ქალაქებში გაეგზავნათ სპეციალისტების, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების ჯგუფები ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და წევრობის კანდიდატების, კომპარტიის სარეგიონო კომისიების წევრების მეთაურობით. ამ ჯგუფების მიზანი იყო საფუძვლიანად და ყოველმხრივ გაეანალიზებინათ მეურნეობათა შესაძლებლობანი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გასადიდებლად. ასეთი ჯგუფები შეიქმნა და ადგილებზე გაიგზავნა. როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მათი მუშაობა ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა: მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის მნიშვნელოვანი გამოუყენებელი რეზერვები გამოვლინდა როგორც საზოგადოებრივ სექტორში, ისე პირად მეურნეობებში, კოოპერაციულ ორგანიზაციებში, გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებში. ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა ეკისრთ გეგმასთან შედარებით გადიდებული, მაგრამ რეალური ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის მისაყიდად, პირუტყვის სულადობის გასაადიდებლად. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის მთავრობას, უწყებებსა და ორგანიზაციებს, კერძოდ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაავალა უზრუნველეყოთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფო მესყიდველების და ყველა სახეობის პირუტყვის და ფრინველის სულადობის გაზრდის რეალური, დაძაბული გეგმების შემუშავება ხუთწლედის მომდევნო წლებისათვის და გაეთვალისწინებინათ თითოეული რაიონის, თითოეული მეურნეობის რეალური შესაძლებლობანი.

შეგვიძლია მოვიყვანოთ სხვა მაგალითიც. 1980 წლის დამდეგს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომელზეც განიხილეს საკითხი „1979 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს საქმიანობის შესახებ“. პლენუმი პირდაპირ კამათით დაიწყო, რადგან მოხსენება ბიუროს და სამდივნოს საქმიანობის შესახებ წინასწარ დაეგზავნათ ცენტრალური კომიტეტის წევრებსა და წევრობის კანდიდატებს, სარეგიონო კომისიის წევრებს, პარტიის ყველა საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტს. პრაქტიკულად რესპუბლიკის მთელი არჩევითი პარტიული აქტივი დაწვრილებით და საფუძვლიანად გაეცნო ცენტრალური კომიტეტის მასალას, ადგილებზე განიხილა იგი. განხილვის ასეთი ორგანიზაციის შედეგად კამათში სიამდვილეში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათასმა კაცმა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ათასზე მეტი კონკრეტული წინადადება, რეკომენდაცია და კრიტიკული შენიშვნა მიიღო ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს საქმიანობის სრულყოფის თაობაზე, რომლებსაც ანალიზებენ, ანზოგადებენ და პრაქტიკულ მუშაობაში იყენებენ.

უშუალო ორგანიზატორულ მუშაობაში არჩევითი პარტიული ორგანოების წევრთა სისტემატურმა ჩაბმამ გაზარდა თვით არჩევითი ორგანოების ავტორიტეტი, გაძლიერდა მათი კავშირი კომუნისტებთან და უპარტიოებთან. ეს, პარტიული მუშაობის დემოკრატიული საწყისების განვითარებასთან ერთად, ეფექტიანად ემსახურება აგრეთვე მუშაკთა პასუხისმგებლობის ამაღლების საქმეს, საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებას. აქტივის ფართო წრეს რომ ეპყრა ხელთნებების გადაწყვეტაში, ამით ხომ სამართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ამავე დროს აძლიერებს მათს პასუხისმგებლობას მუშაობის კონკრეტული შედეგებისათვის. ამ მიზნით მკვიდრად მოიკიდა ფეხი ბიუროსა და სამდივნოში მუშაკთა ანგარიშებისა და ინფორმაციების მოსმენის პრაქტიკამ, დღენიადაგ ეძებენ კონტროლის ახალ ქმედითს ფორმებს.

ყურადღების ღირსია პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პრაქტიკა. საქალაქო კომიტეტის პლენუმს აქ, ჩვეულებრივ, წინ უძღვის საფუძვლიანი, დროული მოსამზადებელი მუშაობა, რომელშიც მონაწილეობენ არა მარტო პარტიული აქტივი, არამედ მშრომელთა ფართო მასებიც. ამას ბევრად უწყობს ხელს პლენუმებისათვის მზადების სრული საჯაროობაც. მაგალითად, უკვე 1978 წლის დამდეგს ქალაქის კომუნისტებმა და ყველა მშრომელმა იცოდნენ, რომ საქალაქო კომიტეტს განზრახული აქვს პირველ კვარტალში გამართოს პლენუმი, რომელზეც განიხილავენ სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნების შესაბამისად კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხს. წლის მეორე კვარტალში გათვალისწინებულია მოეწყოს პლენუმი ასეთი დღის წესრიგით: „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი სრულყოფისა და ამ საქმისადმი კომპლექსური მიდგომის ეფექტიანობის ამაღლებისათვის ქალაქის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ“. პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე, რომელიც მესამე კვარტალისათვის არის დაგეგმილი, განხრახულია განიხილონ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოხსენება ქალაქის საბინაო ფონდის ექსპლოატაციის მდგომარეობისა და მისი სრულყოფისათვის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. ქალაქის კომუნისტები და მშრომელები რომ ინფორმირებული არიან საქალაქო კომიტეტის მომავალი პლენუმების შესახებ, ეს მათ საშუალებას აძლევს გამოთქვან თავიანთი აზრი, შეიტანონ წინადადებანი აღძრული საკითხების არსის შესახებ. ამ წინადადებებს განიხილავენ პლენუმის მასალების მოსამზადებელი სპეციალური კომისიები. მათი ერთ-ერთი ამოცანაა უზრუნველყონ პრესის ფურცლებზე აზრთა საქმითა გაზიარება. ფართო საჯაროობა ქალაქის კომუნისტებისა და მთელი საზოგადოებრიობის დიდ დაინტერესებას იწვევს. პარტიის საქალაქო კომიტეტი, გაზეთების რედაქციები მშრომელთა ასობით წერილს იღებენ ამის გამო. ყველა ამ წერილს გულმოდგინედ იხილავენ.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში მიმდინარე პოზიტიური პროცესები, მიზანმიმართული პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შედეგები სულ უფრო კრისტალდება რესპუბლიკის ეკონომიკის მიღწევებში.

და ეს განსაკუთრებით გამოჩნდა სკკპ XXVI ყრილობისათვის მზადების დღეებში, მეათე ხუთწლედის ფინიშზე. ცხადია, ყველაფერი ეს მიღწეულია პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის, მასებში კომუნისტების გავლენისა და ავანგარდული როლის ამაღლებით, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისადმი უმკაცრესი მოთხოვნით, ხელმძღვანელი კადრების შერჩევისა და განაწილებისათვის სისტემატური პარტიული ზრუნვით.

ეჭვგარეშეა, რომ ყოველივე ამას დიდი რეზონანსი აქვს, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც, მხურვალედ უჭერენ მხარს კეთილმოსურნენი და საქმიანად ეხმაურებიან. განსაკუთრებულ ინტერესს ინვევს პარტიული მშენებლობის აქტუალური საკითხებისადმი მეცნიერული, შემოქმედებითი მიდგომა, რაც პრაქტიკას ეხმარება და ამდიდრებს.

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებმა იციან, რომ ახლახან მოსკოვში პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს წიგნი „პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობის საკითხები“. (იხ. გაზ. „კომუნისტი“ 1980 წლის 5 ოქტომბერი).

დღეს „კომუნისტის“ მკითხველებს ვთავაზობთ ამ წიგნის ნაწყვეტს, სადაც ლაპარაკია საქართველოს პარტიული ორგანიზაციის, მისი ცენტრალური კომიტეტის მუშაობის გამოცდილებაზე. ვფიქრობთ, რომ მისი გამოქვეყნება პარტიული კონფერენციების წინ დაეხმარება დელეგატებს სწორად შეაფასონ საანგარიშო პერიოდი, კრიტიკულად განიხილონ გაწეული მუშაობა და დასახონ მომავლის პრაქტიკული ღონისძიებანი.

პარტიული აპარატის მუშაკები თვალნათლივ და ამაღლების საქმეს, საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებას. აქტივის ფართო წრეს რომ ეპყრა ხელთნებების გადაწყვეტაში, ამით ხომ სამართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ამავე დროს აძლიერებს მათს პასუხისმგებლობას მუშაობის კონკრეტული შედეგებისათვის. ამ მიზნით მკვიდრად მოიკიდა ფეხი ბიუროსა და სამდივნოში მუშაკთა ანგარიშებისა და ინფორმაციების მოსმენის პრაქტიკამ, დღენიადაგ ეძებენ კონტროლის ახალ ქმედითს ფორმებს.

ყურადღების ღირსია პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პრაქტიკა. საქალაქო კომიტეტის პლენუმს აქ, ჩვეულებრივ, წინ უძღვის საფუძვლიანი, დროული მოსამზადებელი მუშაობა, რომელშიც მონაწილეობენ არა მარტო პარტიული აქტივი, არამედ მშრომელთა ფართო მასებიც. ამას ბევრად უწყობს ხელს პლენუმებისათვის მზადების სრული საჯაროობაც. მაგალითად, უკვე 1978 წლის დამდეგს ქალაქის კომუნისტებმა და ყველა მშრომელმა იცოდნენ, რომ საქალაქო კომიტეტს განზრახული აქვს პირველ კვარტალში გამართოს პლენუმი, რომელზეც განიხილავენ სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნების შესაბამისად კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხს. წლის მეორე კვარტალში გათვალისწინებულია მოეწყოს პლენუმი ასეთი დღის წესრიგით: „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი სრულყოფისა და ამ საქმისადმი კომპლექსური მიდგომის ეფექტიანობის ამაღლებისათვის ქალაქის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ“. პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე, რომელიც მესამე კვარტალისათვის არის დაგეგმილი, განხრახულია განიხილონ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოხსენება ქალაქის საბინაო ფონდის ექსპლოატაციის მდგომარეობისა და მისი სრულყოფისათვის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. ქალაქის კომუნისტები და მშრომელები რომ ინფორმირებული არიან საქალაქო კომიტეტის მომავალი პლენუმების შესახებ, ეს მათ საშუალებას აძლევს გამოთქვან თავიანთი აზრი, შეიტანონ წინადადებანი აღძრული საკითხების არსის შესახებ. ამ წინადადებებს განიხილავენ პლენუმის მასალების მოსამზადებელი სპეციალური კომისიები. მათი ერთ-ერთი ამოცანაა უზრუნველყონ პრესის ფურცლებზე აზრთა საქმითა გაზიარება. ფართო საჯაროობა ქალაქის კომუნისტებისა და მთელი საზოგადოებრიობის დიდ დაინტერესებას იწვევს. პარტიის საქალაქო კომიტეტი, გაზეთების რედაქციები მშრომელთა ასობით წერილს იღებენ ამის გამო. ყველა ამ წერილს გულმოდგინედ იხილავენ.

პარტიული აპარატის მუშაკები ურად განიხილათ კადრების პრობლემა.

პლენუმმა კადრებთან მუშაობა გააანალიზა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საკადრო პოლიტიკის ლენინური პრინციპების, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკური პარტორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა საფუძველზე. დადგენილებათა მიღების შემდეგ რესპუბლიკაში პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო მუშაობის მრავალი უბანი განმტკიცეს პოლიტიკურად მომწიფებული, მორალურად მედეგი და პარტიის საქმის ერთგული ადამიანებით, არსებითად გაუმჯობესდა ხელმძღვანელი კადრების თვისებრივი შემადგენლობა. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პოზიტიური ცვლილებების მისაღწევად სოციალურ-ეკონომიკურ პოტენციალში, სამეურნეო პროფილში, აგრეთვე საქართველოს სსრ სახოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამასთანავე აღინიშნა, რომ კადრებთან მუშაობის საკითხი რესპუბლიკაში კვლავინდებურად მწვავედ დგას. ეს განპირობებული იყო, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ უნდა დაეძლიათ ადგილობრივი ეკონომიკური და ინდუსტრიული განვითარების დონით რესპუბლიკის ჯერ კიდევ არსებული ჩამორჩენა საშუალო საკავშირო მაჩვენებლებისაგან, აგრეთვე გადაეწყვიტათ დიდი ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით საქართველოს სს რესპუბლიკაში მეათე და მეთერთმეტე ხუთწლედისათვის. პრობლემის სიმწვავის უფრო ზოგად მიზეზი ის არის, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში ხელმძღვანელის ინტელექტი, საქმიანი და ზნეობრივი თვისებები სულ უფრო მეტ რეალურ გავლენას ახდენს საწარმოო ძალების განვითარებაზე. მატერიალურ-ნივთობრივ გამოხატულებას იძენს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტში კადრების შერჩევის დროს პრაქტიკად დამკვიდრდა დაწვრილებითი ინფორმირება იმ მუშაკების საქმიანი და პოლიტიკური თვისებების შესახებ, რომლებიც რეკომენდებული არიან ნომენკლატურის თანამდებობაზე. დიდი მნიშვნელობა ენიჭება დახასიათებებს, რომლებიც უნდა შეიცავდეს მუშაკის ყოველმხრივ დასაბუთებულ, ღრმა, პრინციპულ, ობიექტურ და პატიოსან შეფასებას. გასაუბრებისა და თანამდებობაზე დამტკიცების დროს გამოთქმული შენიშვნები, რეკომენდაციები და სურვილები აისახება ნომენკლატურის მუშაკთა პირად საქმეებში.

პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ხარვეზებს კადრების შესწავლასა და შეფასებაში, რადგან ისეთი ადამიანების ძიების, შერჩევის მექანიზმი, რომელსაც ხელმძღვანელი მუშაობის საჭირო თვისებები აქვთ, ყოველთვის საკმაოდ ეფექტიანად

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნების თბილისში მყოფი წარმომადგენელთა თათბირი თბილისში

საქართველოსა და ბელორუსიის მეცნიერთა მიერ შექმნილმა ტრაქტორმა, რომელიც რთული უსწორმასწორო რელიეფის პირობებში მუშაობს, წარმატებით გაიარა გამოცდა ბულგარეთში. გაისად ამ სახალხო რესპუბლიკის საწარმოები დაიწყებენ ტრაქტორის სერიულ გამოშვებას.

სამთო მიწათმოქმედების მექანიზაციის დარგში 1977-1980 წლებში მიღწეული წარმატებები, მეთერთმეტე ხუთწლედის მუშაობის გეგმები განიხილეს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თბილისში გამართული სპეციალისტთა თათბირის მონაწილეებმა.

თათბირზე, რომელიც მიეძღვნა თემას: „საწარმოო პროცესების მექანიზაცია და მთის ფერდობებზე საკვები კულტურების აღება“, მოისმინეს ამ თემის კოორდინატორის — ბულგარეთის, აგრეთვე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელთა ანგარიშები.

— საკვებწარმოების მექანიზაციის დარგში სოციალისტური ქვეყნების მეცნიერთა თანამეგობრობა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ბულგარეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, სოფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სექტორის გამგემ მ. ხრისტოვმა, — უკვე ოთხი წელია გრძელდება და ძალზე ეფექტიანი აღმოჩნდა. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში შეიქმნა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი მანქანები და მექანიზმები, რომლებიც სამთო საკვებწარმოების ურთულეს პროცესებს ასრულებენ. თითოეული ქვეყანა საერთო ამოცანის შესასრულებლად იღვწის, და ამავე დროს საერთაო თემატიკას ამუშავებს. ეს მნიშვნელოვნად აჩქარებს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საკითხების გადაჭრას, მაგალითად, ბულგარეთში შეიქმნა სილოსის ასაღები კომბაინი, რომელიც 15 გრადუსამდე დახრილობის ფერდობებზე მუშაობს, ხოლო ჩეხოსლოვაკიაში — ოთხ ტონის სიმძლავრის თვითმავალი სატვირთელი, პოლონეთში — ასევე თვითმავალი სატვირთელი, ოღონდ ორი ტონის სიმძლავრისა, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — საკვები კულტურების ასაღები მანქანების სისტემა.

უნდა ითქვას, — თქვა შემდეგ მ. ხრისტოვმა, — რომ სსრ კავშირში ამ თემის პასუხისმგებელი შემსრულებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელმაც დიდ წარმატებებს მიაღწია სამთო მიწათმოქმედების მექანიზაციაში. უმთავრესად მისი ნაშრომები დაედო საფუძვლად ჩვენი ქვეყნების სპეციალისტებისა და მეცნიერების მიერ შექმნილ სამთო მიწათმოქმედების, მანქანების სისტემას.

თბილისის შეხვედრა, — თქვა დასასრულ მ. ხრისტოვმა, — გვიახლოვებს მაგისტრალური ამოცანის გადაჭრას — ჩვენი ქვეყნების მეურნეობები 1985 წლისთვის უზრუნველყოფთ სამთო საკვებწარმოების სრული მექანიზაციისათვის საჭირო მანქანების კომპლექსით.

● ●

ანგარიშს აბარებენ ხელმძღვანელები

№ 4 სამშენებელი ტრესტის მმართველის დ. დგებუაძისა და სახლთსაშენებელი კომბინატის უფროსის რ. ბეჟუაშვილის ანგარიშები მშენებლობის ორგანიზაციის სრულყოფისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ განიხილა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა.

პლენუმზე ხაზი გაესვა ქალაქში საიჯარო სამუშაოების თანმიმდევრული შესრულების დადებით ტენდენციას. მიმდინარე ხუთწლედში კაპიტალდაბანდებათა 82 პროცენტი ხმარდება არსებული საწარმოების რეკონსტრუქციასა და გაფართოებას. გაიზარდა სიმძლავრეები საავტომობილო, ელექტრომექანიკურ, საკონსერვო, რეზინტექნიკური ნაწარმის ქარხნებში, მთელ რიგ სხვა საწარმოებში, რის შედეგადაც ხუთწლედის დამდეგდან წარმოების მოცულობა 35,9 პროცენტით გადიდდა.

პლენუმის მონაწილეებმა, რომლებმაც აღნიშნეს მიღწეული წარმატებები, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს როგორც სამშენებლო ტრესტისათვის, ისე სახლთსაშენებელი კომბინატისათვის დამახასიათებელ ნაკლოვანებებს. ითქვა, კერძოდ, რომ საჭიროა გაძლიერდეს კონტროლი სამუშაოთა შესრულებისადმი, ამაღლდეს საშემსრულებლო დისციპლინა, დაინერგოს შრომის ორგანიზაციის მოწინავე ფორმები. განსაკუთრებით აღინიშნა, თუ რაოდენ საჭიროა, რომ კიდევ უფრო დაიხვეწოს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება.

განხილულ საკითხზე მიიღეს დადგენილება.

პლენუმის მონაწილეებმა მოისმინეს ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის გ. აბზანიძის ინფორმაცია ზამთრისათვის საქალაქო სამსახურების მზადების შესახებ.

პლენუმის მუშაობის შედეგები შეაჯამა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. რუხაძემ. (საქინფორმი).

წიგნი აქტუალურ პრობლემებზე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. ჩერნენკოს წიგნი— „პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობის საკითხები“ მეტად საინტერესო და სასარგებლო ნაშრომია. მისი შინაარსი, მისი ტექსტის შესწავლა. არწმუნებს მკითხველს, რომ საქმე გვაქვს მრავალ ასპექტიან კვლევასთან, რომელიც წარმატებით ახამებს თეორიისა და პრაქტიკის, ისტორიულისა და ლოგიკურის პრობლემებს, ლენინური მეცნიერული მემკვიდრეობისა და მომდევნო პერიოდის პარტიული დოკუმენტების დებულებათა ანალიზს.

გამოკვლევაში კვალდაკვალ შუქდება საბჭოთა კავშირის ლენინური კომუნისტური პარტიის აპარატის ჩამოყალიბების, განვითარებისა და განმტკიცების პროცესი პარტიის წარმოქმნისა და რევოლუციის შემდეგდროინდელი პერიოდების ეტაპების მიხედვით. წიგნში სპეციალურ ქვეთავაყოფებად განიხილება მსოფლიოში პირველი სოციალისტური რესპუბლიკის აპარატის ფორმირება კომუნისტური პარტიის, პირადად დიდი ლენინის მეთაურობით, პირველი სოციალისტური საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში პარტიული და საბჭოთა აპარატის განვითარება ვ. ი. ლენინის ანდერძის საფუძველზე. სპეციალურ თავში მეცნიერულად განზოგადებულია პარტიული ორგანოების საქმიანობაში ლენინური სტილის შემოქმედებითი განვითარების დარგში დაგროვილი ახალი გამოცდილება, წიგნის ბოლო თავში კი დაწვრილებით არის განხილული განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მომწიფებული სოციალიზმის პირობებში კადრების პოლიტიკისა და მართვის პრობლემები, პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობის სრულყოფის თანამედროვე აქტუალური ამოცანები პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე.

წიგნს ახასიათებს ლენინურ პრინციპებსა და ტრადიციებზე დამყარებით პარტიული ორგანოებისა და მისი კადრების საქმიანობის მრავალწახნაგოვანი შინაარსის, მრავალფეროვანი ფორმების განვითარების ღრმა ანალიზი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ გამოკვლევაში გამოყენებული და გაანალიზებულია მთელი რიგი ახალი დოკუმენტები, რომლებიც წინათ გამოქვეყნებული არ ყოფილა.

ჩემთვის, როგორც ეკონომიკის მეცნიერების მუშაკისთვის, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს წიგნში შეტანილი სპეციალური ნარკვევი „საქმიანობის მთავარი ასპარეზი — ეკონომიკა“. მასში გაშუქებულია სოციალისტური სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები, ფორმები და მეთოდები, თანამედროვე პირობებში ეკონომიკის განვითარების ახალი სიტუაციის პირობებში მეურნეობის მართვის უმთავრესი აქტუალური პრობლემები.

ამხანაგ კ. ჩერნენკოს წიგნს დიდი ინტერესით შეისწავლიან ფართო პარტიული აქტივი, პრაპაგანდისტთა კადრები, პარტიული განათლების სისტემისა და უმაღლესი სასწავლებლების მსმენელები, აგრეთვე ყველა, ვინც დაინტერესებულია საზოგადოებრივი ცხოვრების ამ რთული და აქამდე ნაკლებად შესწავლილი მხარით.

ვ. მელქაძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაუ-რეატი.

კითხულობ ამხ. კ. უ. ჩერნენკოს წიგნს და ხედავ, რა ღრმად, ყოვლისმომცველად და მასშტაბურად არის მასში განხილული ჩვენს ქვეყანაში პარტიული და საბჭოთა მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხები. თანამიმდევრულობა და ისტორიული სიზუსტე, თემის არსში წვდომა თვალნათლივ გვიჩვენებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აპარატის შექმნის, განვითარებისა და განმტკიცების პროცესებს, სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების პრობლემებს, მის წარუვალ მნიშვნელობას ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობისათვის.

აღტაცებისა და კანონიერი სიამაყის გრძნობას იწვევს წიგნის ის ადგილები, სადაც აღწერილია ვ. ი. ლენინის ტიტანური თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა ჩვენი პარტიული და სახელმწიფო აპარატის შექმნისათვის.

წიგნის უდიდესი მნიშვნელობა იმითაც გამოიხატება, რომ იგი დამაჯერებლად წარმოგვიდგენს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, როგორც ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საქმის მტკიცე გამგრძელებელისა და ორგანიზატორის, მუშაობას.

ნაშრომში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების განუხრელი დაცვისა და განვითარების, პარტიული ორგანოების, მათ შორის საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში მუშაობის ლენინური სტილისა და მეთოდების დამკვიდრების საკითხებს. განაზოგადებს რა ჩვენი პარტიის, ყველა მისი ძირეული რგოლის მდიდარ გამოცდილებას, ავტორი ცხადყოფს, რომ ლენინური სტილი პარტიის მძლავრი იარაღია კომუნიზმისათვის ბრძოლაში. მეცნიერული მიდგომა, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა, რევოლუციური გაჭანგა, ორგანიზებულობა და გერგილიანობა, პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის კოლექტიურობა, კავშირი მასებთან და მათზე დაყრდნობა, კონტროლისა და შესრულების შემოწმების სწორი ორგანიზაცია, კადრებთან მუშაობა — ეს ხელმძღვანელობისა და მართვის გადამწყვეტი ფაქტორები, რომლებიც ავტორმა ვრცლად ასახა. და თუ ჩვენ გვინდა მართლაცდა წარმატებით ვიმოქმედოთ, როგორც ავტორი ამტკიცებს, მოვალენი ვართ უაღრესად ზუსტად და ზედმიწევნით კეთილსინდისიერად დავიცვათ მუშაობის ლენინური სტილი, უკუვაგდოთ ფორმალიზმი და ბიურო

საკრებულისა და ახალი ამბების საagენტოს კორესპონდენტები გვაცყობინებენ

საერთაშორისო ცხოვრება
დილაობის ჟურნალი

კეთილი ნების პოლიტიკა

საზღვარგარეთის მახლობივი ინფორმაციის საშუალებები, პოლიტიკური და საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენლები სამეგობრო ეთიოპიის ურთიერთობას უწოდებენ ნამდვილი ინტერნაციონალისტური პოლიტიკისა და ნაყოფიერი თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის ნიმუშს. თავიანთ კომენტარებში, ეს ორმხრივ ურთიერთობებისა და ეთიოპიის ხელმძღვანელთა მოსკოვის მოლაპარაკებებს, ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და მენგისტუ ჰაილე მარიამის გამოსვლებს, ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირმა კვლავ დაადასტურა თავისი

მოკლედ

ყოველ მხრიდან

ნოემბერი

● **პარაღვა.** ბრნოში დამთავრდა გამოგონებათა და ტექნიკურ სიახლეთა საერთაშორისო გამოფენა „ინვენტ-80“. ჩეხოსლოვაკის გარდა მასში მონაწილეობდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, პოლონეთი, სსრ კავშირი, უნგრეთი, დანია და საფრანგეთი.

● **პარიზი.** გამარჯვებით დამთავრდა საფრანგეთის ჩრდილოეთისა და ჩრდილო-დასავლეთის შახტებში დაწყებული 4500 მარკოელი მაღაროელის გაფიცვა. ისინი მოითხოვდნენ მათთვის ფრანგი მეშახტეების თანაბარი უფლებების მინიჭებას.

● **ნიუ-იორკი.** ქვეყნის ერთ-ერთმა უდიდესმა რეზინის მრეწველობის კორპორაციამ „ფაირსტოუნ ტაირ ენდ რაბერმა“ გამოაცხადა ქალაქ ნობლ-ვილში (ინდიანის შტატი) თავისი ავტომობილის საბურავების მწარმოებელი ქარხნის დახურვა და ათასზე მეტი მუშის გათავისუფლება.

ერთგულება მშვიდობის უზრუნველყოფის, დაძაბულობის შენელების, განიარაღებისა და თანამშრომლობის კურსისადმი.

სსრ კავშირისა და ეთიოპიის ხელმძღვანელთა მოლაპარაკების ნაყოფიერი შედეგები მკაფიოდ მოწმობს ჩვენი ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის ურღვევ კავშირს, წერს სარედაქციო სტატიაში ეთიოპიის გაზეთი „ადის ზემენი“. ამ მოლაპარაკებამ კვლავ ცხადყო ჩვენი ერთიანობა ქვეყნად მშვიდობისათვის, დაძაბულობის შენელებისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში. მან დაადასტურა სსრ კავშირისა და სოციალისტური ეთიოპიის ერთგულება თანასწორობისა და სამართლიანობის იდეალებისადმი, რომელთა გარანტირება მხოლოდ სოციალიზმს ძალუძს.

ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და მენგისტუ ჰაილე მარიამის შეხვედრამ ახალი მნიშვნელოვანი წვლილი შემატა ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობის განმტკიცების საქმეს, კაცობრიობის მშვიდობიანი მომავლისათვის, პროგრესის, ხალხთა თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლას, წერს ჩეხოსლოვაკიის „რუდე პრავო“.

საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის მეგობრობა ახალ დიდმნიშვნელოვან ეტაპს სახავს ორი ქვეყნის ძმური ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებაში, წერს მონღოლეთის „უნენი“. სსრ კავშირისა და ეთიოპიის ყოველმხრივი თანამშრომლობის დინამიკური განვითარება არსებითი წვლილია ხალხთა მშვიდობის, თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის საქმეში და მთლიანად შეესაბამება ორი ქვეყნის ინტერესებს.

ლ. ი. ბრეჟნევმა და მენგისტუ ჰაილე მარიამმა, აღნიშნავს მადაგასკარის მთავრობის ორგანო — გაზეთი „ათრიკა“, დაადასტურეს, რომ ორივე ქვეყანა ადგანან თანამიმდევრულ კურსს, რათა აფრიკის რქის რაიონში შეიქმნას ურთიერთგაგებისა და კეთილმეზობლობის ატმოსფერო ამ რეგიონის ყველა სახელმწიფოს მიერ სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, ურთიერთპატივისცემის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და ტერიტორიულ პრეტენზიებზე უარის თქმის საფუძველზე.

მთავრობის პირველი სხდომა

რომი, 1 ნოემბერი. გაიმართა პირველი სხდომა იტალიის მთავრობისა, რომელიც თავისი მოვალეობების შესრულებას შეუდგა პარლამენტის ორივე პალატაში ნდობის ვოტუმის მიღების შემდეგ. მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობდა კაბინეტის მეთაურის ა. ფორლანის თავმჯდომარეობით, განიხილეს ქვეყნის წინაშე მდგომი მწვავე ეკონომიკური პრობლემები. ახლა იტალიის ეკონომიკის მდგომარეობას ახასიათებს. მრეწველობის მოდერნება, ინფლაციის სწრაფი ტემპი და უმუშევრობის ზრდა. განვლილი 12 თვის მანძილზე ქვეყანაში ცხოვრების ღირებულება 20 პროცენტით და მეტად გაიზარდა. ოფიციალურად აღრიცხულ უმუშევართა რიცხვმა სექტემბერში მილიონ 746 ათასი შეადგინა.

იტალიის ახალმა მთავრობამ, რომელიც ცდილობს დაძლიოს ეკონომიკური კრიზისი, კვლავ მიმართა ქვეყანაში არაპოპულარულ ღონისძიებებს. სხდომაზე მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ გაადვილონ ბენზინი, აგრეთვე გაამკაცრონ საგადასახადო პოლიტიკა. ხელისუფალნი კვლავ ცდილობენ ეკონომიკური სიძნელენი დაძლიონ მშრომელთა ხარჯზე.

დღეს მთავრობამ განიხილა აგრეთვე გარემოებანი გახმაურებული ფინანსური სკანდალისა, რომელიც დაკავშირებულია ნავთობის იმპორტთან.

4 ნოემბერს ფინანსთა მინისტრი ფ. რევილიო მთავრობის სახელით პარლამენტში გამოვა და პასუხს გასცემს შეკითხვებს ამ სკანდალური ამბის გამო.

დელეგაციების შეხვედრა

ჟენევა, 31 ოქტომბერი. დღეს გაიმართა სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის დელეგაციათა შეხვედრა მოლაპარაკებაზე, რომლის მიზანია შეიმუშაონ ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის შესახებ.

უკანონობის აქტი

ნიუ-იორკი, 1 ნოემბერი. ამერიკის კონექტიკუტის შტატის ხელისუფალნი ყოველნაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის კანდიდატებს კენჭი იყაროს 4 ნოემბრის არჩევნებში. მათ უსაფუძვლოდ თქვეს უარი ხმის მიცემის ბიულეტენებში შეტანათა კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი გ. ჰოლი და პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ა. დევისი, რომლებიც ქვეყნის პრეზიდენტობისა და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატები არიან.

გადაიდგა აღმაშფოთებელი დისკრიმინაციული ნაბიჯი, მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტებმა შესასრულეს ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნები და შეაგროვეს ამომრჩეველთა ორჯერ მეტი ხელმოწერა. ვიდრე საქმეროა კენჭისყრის სიებში მათი კანდიდატების შესატანად. მიუხედავად ამისა, კომუნისტური პარტიის პეტიცია უარყვეს ხელისუფლებამ იმ საბაბით, თითქოს ხელმოწერები „ყალბი“ იყო.

ხელისუფლებმა ჩაიდინეს ამერიკის შეერთებულ შტატებში საარჩევნო კამპანიის არსებული წესების უხეში დარღვევისა და უკანონობის ახალი აქტი, აღნიშნულია კომპარტიის ადგილობრივი განყოფილების განცხადებაში, მათ აშკარად არ მოსწონთ კომუნისტთა პროგრესული პროგრამა, რომელიც მთლიანად შეესაბამება მშრომელთა საარსებო ინტერესებს.

„კომუნისტის“ მიმოხილვა

თანამედროვე ამერიკის სამინაო-პოლიტიკური ცხოვრების თავისებურ ფენომენს წარმოადგენს ქვეყნის ებრაული თემი. მართლაც, ერთი შეხედვით, ძნელად ასახსნელ პარადოქსად გამოიყურება ის ფაქტი, რომ მოსახლეობის საერთო რაოდენობის 2,7 პროცენტს ასეთი დიდი გავლენა აქვს სახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ-ფინანსურ და კულტურულ ცხოვრებაში.

როდესაც ლაპარაკია ამერიკის შეერთებული შტატების ებრაულ თემზე, დასავლეთ მიმომხილველები ჩვეულებრივ აიგივებენ მას სიონისტურ ორგანიზაციებთან და საერთოდ სიონიზმთან. ამავე დროს ფაქტების ანალიზი ნათლად მეტყველებს, რომ ამერიკელ ებრაელთა ძირითად მასას სურდა რამ აქვს საერთო სიონიზმთან და ხშირ შემთხვევებში სრულიად საწინააღმდეგო პოზიციებიდან განიხილავს თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს. ვეღარ, თუ გნებავთ, პრეზიდენტის არჩევნები; 1956 წლის ამბრიანი აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ მისმა ინიციატორებმა ამერიკაში პრეზიდენტის არჩევნებს დაამთხვიეს, ვინაიდან იმდროინდელ ნიქსონ-ეიზენჰაუერმა ამ მარტო გაიმარჯვა, არამედ მან მიიღო ებრაელ ამომრჩეველთა ხმების 40 პროცენტი.

გავლენიანი ხმა

არ შეუშლიდა აგრესორებს. როგორც შემდგომში ეიზენჰაუერი წერდა თავის მემუარებში, მას და დალესს ეშვი ჰქონდათ, რომ ისრაელის იმპერიონელი პრემიერი სამხედრო აქციებს დაგეგმავდა ამერიკაში არჩევნების უშუალოდ წინა დღეებში და ამით ხელ-ფეხს შეუკრავდა ვაშინგტონს, სინამდვილეში კი მოხდა ისე, რომ თეთრმა სახლმა, რომელიც საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობდა, გადაწყვიტა აგრესია ახლო აღმოსავლეთიდან თავისი იმპერიალისტური კონკურენტების წინააღმდეგ გამოეყენებინა. ამერიკის შეერთებული შტატების თავრობამ უარი თქვა ოფიციალურად დაეჭირა მხარი აგრესიისათვის. სიონისტურ ორგანიზაციათა რეაგირებამაც არ დააყოვნა — მათ იმწამსვე წამოაყენეს ლოზუნგი: „აიკისათვის (ე. ი. ეიზენჰაუერისათვის) მიცემული ხმა ნასერისათვის მიცემული ხმაა“. თავის მხრივ, დემოკრატებმა მთლიანად დაუჭირეს მხარი ისრაელს. არჩევნებში ეიზენჰაუერმა არა მარტო გაიმარჯვა, არამედ მან მიიღო ებრაელ ამომრჩეველთა ხმების 40 პროცენტი.

1960 წელს ნიქსონი შეეცადა ეიზენჰაუერის მიღწევა გაემეორებინა. მიუხედავად ამისა, ებრაელმა ამომრჩევლებმა კენედის მისცეს ხმა და ეს მაშინ, როდესაც ამერიკის სიონისტური ორგანიზაციები არაბული სამყაროსადმი სიმპათიაში სდებდნენ ბრალს დემოკრატთა კანდიდატს. 1964 წელს ჯონსონს დაუჭირა მხარი ებრაელ ამომრჩეველთა 90 პროცენტმა. ისევე როგორ ეიზენჰაუერისა და კენედის შემთხვევაში, აქაც გადამწყვეტი იყო ჯონსონის პოზიციის მიმზიდველობა ულტრა-რეაქციონერ გოლდუოტერთან შედარებით, რომელიც ქათინაურებს არ იშურებდა ისრაელის მისამართით. როგორც ვხედავთ, ამერიკელ ებრაელთა უმრავლესობას ის უფრო აწუხებს, თუ როგორ საშინაო პოლიტიკას გაატარებს პრეზიდენტი, ვიდრე ის, თუ რას ფიქრობს იგი ისრაელზე.

ეგრეთ წოდებული „ებრაელ ამომრჩეველთა ბლოკის“ — რეალურ ძალაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა 1976 წლის არჩევნები; თავისი არჩევნებისწინა კამპანიის პირველ ეტაპზე კარტერი არ სარგებლობდა ებრაელ ამომრჩეველთა მხარდაჭერით, რაც ორი გარემოებით აიხსნებოდა: მას ნაკლებად იცნობდნენ სამხრეთის ჩვეულები პირველად არჩევნებში მის მოწინააღმდეგეებს მისცემდნენ ხმას. მართლაც, წინასწარ არჩევნებზე კარტერმა ებრაელ ამომრჩეველთა ხმების მხოლოდ ოთხი პროცენტი მოაგროვა. ამ გარემოებამ კარტერს ხელი ვერ შეუშალა გამხდარიყო პარტიის ოფიციალური კანდიდატი.

ყრილობის შემდეგ კარტერმა მკვეთრად შეიცვალა სტრატეგია — დაიწყო მრავალრიცხოვან განცხადებათა გამოქვეყნება ებრაულ გამოცემებში, პირად წერილებს უგზავნიდა ებრაული წარმოშობის ამომრჩევლებს და სპეციალური თანამდებობაც კი შექმნა ებრაელთა შორის საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად. ყოველივე ამან თავისი ნაყოფი გამოიღო, და არჩევნებისწინა კამპანიის დასკვნითს ეტაპზე კარტერს უკვე უზრუნველყოფილი ჰქონდა ებრაელ ამომრჩეველთა მხარდაჭერა, თუმცა არც იმდროინდელი პრეზიდენტი ფორდი პასიურობდა.

როგორია სინამდვილეში „ებრაელ ამომრჩეველთა ბლოკის“ რეალური გავლენა? უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მცდარია ამერიკელ ებრაელების ამომრჩეველთა ერთიან ბლოკად კვალიფიკაცია. გარდა ამისა, ყველა არჩევნებში როდი ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ებრაელი ამომრჩევლები. მაგალითად, 1972 წლის არჩევნებში მათ ხმებს სერიოზული მნიშვნელობა არ გააჩნდა, მაგრამ 1976 წელს, როდესაც კარტერმა გაუსწრო ფორდს, ებრაული წარმოშობის ამომრჩეველთა ხმებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთი სიტყვით, უკანასკნელის მნიშვნელობა იზრდება მაშინ, როდესაც ამა თუ იმ კანდიდატის უპირატესობა ნათლად არ არის გამოკვეთილი და მინიმალურია. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ამ დღეებში კარტერი და რეიგანი ყოველ ღონეს ხმაროობენ, რათა ისრაელის გული მოიგონ. მდგომარეობა შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს, თუკი მოწონებული იქნება შესწორება კონსტიტუციაში, რომელიც ითვალისწინებს პრეზიდენტის არჩევნების ორსაფეხურიანი სისტემის გაუქმებას და დაწესდება პირდაპირი არჩევნები.

რაც შეეხება სიონისტურ პროპაგანდას, ამერიკელ ებრაელთა უმრავლესობა დღესაც ნაკლებ ყურადღებას აქცევს მას მისთვის უფრო მისაღები კანდიდატის შერჩევაში, ვინაიდან უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ორივე გაბატონებული პოლიტიკური პარტიის პოზიციაში ისრაელის მიმართ არავითარი სერიოზული განსხვავება არ იგრძნობა. ფაქტია, რომ ვერც ერთი სერიოზული კანდიდატი ვერ მისცემს თავს იმის უფლებას, რომ მას ისრაელის მოწინააღმდეგედ მიიჩნევდნენ. ყველა ბურჟუაზიული კანდიდატი ცდილობს სიტყვითაც და საქმითაც ისრაელის ერთგული მეგობრის რეპუტაცია დაიმკვიდროს. ეს უკვე აპრიორია, და ამიტომ ებრაული წარმოშობის ამომრჩევლები სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ კანდიდატთა საშინაო-პოლიტიკურ პლატფორმას.

ს. ცინცაძე,
„კომუნისტის“ პოლიტიკური მიმომხილველი.

ტერორი ოლსტერში

ლონდონი, 1 ნოემბერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქების ქუჩებში კვლავ გაისმის სროლის ხმა. პროტესტანტი ულტრები აშკარად დაადგნენ ტერორის ტაქტიკას. ისინი ცდილობენ ჩაშალონ ლონგ კეშის საკონცენტრაციო ბანაკის ტყვეების ბრძოლისადმი სოლიდარობის კამპანია, რომელიც ოლსტერის დემოკრატიულმა ძალებმა დაიწყეს.

ბელფასტიდან მიღებული ცნობების თანახმად, ქალაქის დასავლეთ რაიონში ცეცხლი დაუშინეს პოლიტიკურ პატიმართა სტატუსის მინიჭებისათვის ლონგ კეშის ტყვეთა ბრძოლის მხარდამჭერის დემონსტრაციის მონაწილეებს. დემონსტრანტთა ჯგუფს ცეცხლი დაუშინეს ავტომანქანიდან. ამ დანაშაულამდე ერთი დღით ადრე პროტესტანტ იქსტრემისტთა ორგანიზაცია— „ოლსტერის თავდაცვის ასოციაცია“ ფიზიკური დასჯით დამუქრა ჩრდილოეთ ირლანდიის ყველა იმ მცხოვრებს, ვინც მხარს დაუჭერს საკონცენტრაციო ბანაკის ტუსაღებს.

მთელ პასუხისმგებლობას ჩრდილოეთ ირლანდიაში მდგომარეობის გაფუჭვების გამო, ოლსტერის პროგრესული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები აკისრებენ ინგლისის ხელისუფალთ, რომლებიც თავიანთი პოლიტიკით აქეზებენ პროტესტანტ იქსტრემისტებს.

შ. ლ. ვასაძე

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 74 წლისა გარდაიცვალა საბჭოთა არმიის ვეტერანი, დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილე, გადამდგარი პოლკოვნიკი სკკპ წევრი 1928 წლიდან შალვა ლუკას ძე ვასაძე. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მან მოახმარა სოციალისტური სამშობლოს, ხალხის უანგარო სამსახურს, კომუნისტური პარტიის საქმეს.

შ. ლ. ვასაძე დაიბადა 1906 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუკნარში მუშის ოჯახში. ბავშვობიდანვე დაიწყო შრომითი საქმიანობა და თავისი ცხოვრება დაუკავშირა კომკავშირს, რომლის რიგებში 1921 წელს შევიდა. 1928 წელს ალკა რაიკომის რეკომენდაციით მობილიზედ წავიდა საბჭოთა არმიაში, რომლის რიგებში განვლო გზა კურსანტიდან მებრძოლ მეთაურამდე, პოლკოვნიკამდე. წარმატებით დამთავრა რა სწავლა საქართველოს გაერთიანებულ სამხედრო სკოლაში, შ. ლ. ვასაძეს ეკავა მთელი რიგი სამეთაურო თანამდებობანი, რომლებზეც თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა აღმზრდელმა ოფიცერმა. 1928 წელს იგი, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მეთაური, გაგზავნეს პარტიულ-პოლიტიკურ სამუშაოზე ჯარებში, ეკავა ნაწილის კომკავშირის, პარტიული ბიუროების მდივნის, კომისრის, საქართველოს პირველი მსროლელთა დივიზიის და სხვა შენაერთების პოლიტიკური განყოფილების პასუხისმგებელი მუშაკის თანამდებობანი.

დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში შ. ლ. ვასაძე ასრულებდა ომიანობის [illegible] ოპერატიულ [illegible] ოპერაციებში, რომელიც მიმდინარეობდა საბჭოთა მოკავშირეებსა და საბჭოთა მოკავშირეებსა [illegible] ფრონტის შემადგენლობაში. კაკასიისათვის ბრძოლაში მან გამოიჩინა უნარიანი მებრძოლი ხელმძღვანელის ნიჭი.

ომისშემდგომ პერიოდში შ. ლ. ვასაძე მუშაობდა სამხედრო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების სისტემაში. ეკავა ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის, აჭარის ასსრ სამხედრო კომისრის თანამდებობანი. 1952-დან 1962 წლამდე მუშაობდა საქართველოს სსრ სამხედრო კომისრად. დაკისრებული საქმისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, პარტიული პრინციპულობით აღსავსე, იგი დიდ ძალ-ღონეს და ენერგიას ახმარდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, შეიარაღებული ძალების რიგებში სამსახურისათვის ახალგაზრდობის მომზადებას, მშობელთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას. შ. ლ. ვასაძე გამოირჩეოდა ადამიანებისადმი უაღრესად გულისხმიერი და უურადღებიანი დამოკიდებულებით, თავმდაბლობითა, და უბრალოებით, მომთხოვნელობით საკუთარი თავისა და თანამშრომლებისადმი. ყოველივე ამან დამსახურებული ავტორიტეტი და პატივისცემა მოუხვეჭა ხელქვეითებსა და რესპუბლიკის პარტიულ-საბჭოთა აქტივს შორის.

შ. ლ. ვასაძე აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. არაერთგზის აურჩევიათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრად, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის წევრად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ დიდად დააფასეს შ. ლ. ვასაძის დამსახურება სამშობლოს წინაშე. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, ორი წითელი დროშის ორდენითა და ბევრი საბრძოლო მედლით.

კომუნისტური პარტიის ერთგული შვილის, შესანიშნავი ამხანაგის შ. ლ. ვასაძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

ე. ა. შევარდნაძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ს. ე. ხაბეიშვილი, ა. ი. შირინკინი, ნ. რ. საჯაია, ლ. ლ. შარაშენიძე, ვ. ნ. ჯანჯღავა, რ. ტ. ნიორაძე.

საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატი და სამამულო ომის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის მონაწილე, საქართველოს სსრ ყოფილი სამხედრო კომისარი, გადამდგარი პოლკოვნიკი

შალვა ლუკას ძე ვასაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა 1980 წლის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის — „ხუთწლედის მატიანე“ — მოსაპოვებლად წარდგენილი ნაწარმოებები და შეარჩია ლაურეატობის კანდიდატურები:

ლიტერატურის დარგში

1. **კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე ლორთქიფანიძე** — „მთას დაუბრუნდა მთიელი“ და „რა მოხდა აბაშაში“.

წარმოადგინა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ.

2. **ალექსი ნოჩოს ძე გოგუა** — 1976-1980 წლებში გამოქვეყნებული მოთხრობები.

წარმოადგინეს საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულმა მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ და აფხაზეთის მწერალთა კავშირმა.

მუსიკის დარგში

1. **იოსებ ილიას ძე კეკელიძე** — საგუნდო ნაწარმოებები: „ოდიდე, ხალხო ძლიერო“, „ოდა კომკავშირს“, კანტატა „დიდება შრომას“, ციკლი „მთისა ბარსა“.

წარმოადგინა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა.

სახვითი ხელოვნების დარგში

1. **რადიშ ტერენტის ძე თორდია** (ფერმწერი), სამუშაოთა ხელმძღვანელი, **იდენ სიმონის ძე ტაბიძე** (მოქანდაკე), **აპოლონ ალექსანდრეს ძე ხარებავა** (კერამიკოსი) — თბილისის მეტროპოლიტენის სადგურის „პოლიტექნიკური ინსტიტუტის“ მხატვრული გაფორმება.

წარმოადგინა საქართველოს მხატვართა კავშირმა.

2. **ირაკლე ბაგრატის ძე ალბორთი** — 1977-1980 წლებში შესრულებული ფერწერული ტილოები.

წარმოადგინეს საქართველოს მხატვართა კავშირმა და სამხრეთ ოსეთის მხატვართა კავშირმა.

კინო და ტელევიზიოლოგიების დარგში

1. **გიორგი ნიკოლოზის ძე შენგელია** (დამდგმელი რეჟისორი), **რევაზ კონსტანტინეს ძე ინანიშვილი** (სცენარის ავტორი) — მხატვრული ფილმი „ქვიშანი დარჩებიან“.

წარმოადგინა საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა.

2. **გიორგი ვადიმის ძე ლევაშოვი** (დამდგმელი რეჟისორი), **დავით ნიკოლოზის ძე აგიაშვილი** (სცენარის ავტორი), **ტრისტან ალექსის ძე კანდელაკი** (ოპერატორი) — ტელეფილმი „ექსპერიმენტი“.

წარმოადგინა საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა.

თეატრალური ხელოვნების დარგში

1. **ალექსანდრე ვლადიმერის ძე ჩხაიძე** (დრამატურგი), **დავით მურადის ძე ხინკაძე** (დამდგმელი რეჟისორი) — ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „როცა ქალაქს სძინავს“.

წარმოადგინეს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და აჭარის ასსრ კულტურის სამინისტრომ.

2. **გიორგი მიხეილის ძე ხუციშვილი** (დრამატურგი), **ნუგზარ შალვას ძე ლორთქიფანიძე** (დამდგმელი რეჟისორი), **ნაზი კარლოს ასული არავიშვილი, ზურაბ ივანეს ძე ანთელავა** (მთავარი როლების შემსრულებლები) — თელავის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „აღმართ-დაღმართ“.

წარმოადგინა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ.

არქიტექტურის დარგში

1. **მიხეილ სიმონის ძე მელია** (არქიტექტორი), **თენგიზ სევერიანის ძე ჭანკვეტიშვილი, დავით ილარიონის ძე ქაჯაია** (ინჟინერი-კონსტრუქტორები) — სასტუმრო „აჭარის“ პროექტი.

წარმოადგინა საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა.

საკრებულისა და ახალი ამბების საagენტოს კორესპონდენტები გვაცყობინებენ

საერთაშორისო ცხოვრება
დილაობის ჟურნალი

რეზოლუციის პროექტი მოიწონეს

ნიუ-იორკი, 1 ნოემბერი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მოიწონა საბჭოთა კავშირის მიერ წარმოდგენილი პროექტი რეზოლუციისა „ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის დედამიწის ბუნების შესანარჩუნებლად სახელმწიფოთა ისტორიული პასუხისმგებლობის შესახებ“. მიღებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ისეთი საერთო-საკაცობრიო პრობლემების წარმატებით გადაჭრის შესაძლებლობანი, როგორიცაა დედამიწის ბუნების შენარჩუნება, მჭიდროდაა დაკავშირებული საერთაშორისო დაძაბულობის შენელების დამკვიდრებასა და განვითარებასთან და ისეთი პირობების შექმნასთან, რომლებიც გამორიცხავენ ომს კაცობრიობის ცხოვრებიდან.

გახსნა რა დისკუსია ამ საკითხზე, სსრ კავშირის წარმომადგენელმა აკადემიკოსმა ე. კ. ფედოროვმა აღნიშნა: რომ არაფერი ვთქვათ იმ კატასტროფულ შედეგებზე, რომელიც შეიძლება ადამიანსა და ბუნებას მიაყენოს ახალმა მსოფლიო ომმა, მას ახლაც დიდი და, შესაძლოა, გამოუსწორებელი ზიანი ადგება სახელმწიფოთა საომარი მზადების შედეგად. განსაკუთრებულ საფრთხეს შეიცავს ბირთვული მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღი. ეს კვლავ მოგვაგონა 16 ოქტომბერს ჩინეთის მიერ ატმოსფეროში მოწყობილმა დიდი სიმძლავრის ბირთვულმა აფეთქებამ. ამის შედეგად გამოფრქვეულია ხანგრძლივი ნახევრად დაშლის რადიაქტიური პროდუქტები, რომლესაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ მოსახლეობის ჯანმრთელობასა და ბევრი სახელმწიფოს გარემო ბუნებას.

ბუნების დაცვის პრობლემა, ისევე როგორც სხვა გლობალური პრობლემები, ხაზი გაუსვა საბჭოთა წარმომადგენელმა, შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ყველა სახელმწიფოს ერთობლივი სერიოზული მეცადინეობით მათი მჭიდრო თანამშრომლობის პროცესში, დაძაბულობის შენელებისა და გამალებული შეიარაღების შეწყვეტის პირობები.

დასავლეთის ქვეყნების, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა ვერ გაბედეს აშკარად გაელაშქრათ საბჭოთა პროექტში მოცემული კონკრეტული წინადადებების წინააღმდეგ დედამიწის ბუნების შენარჩუნების ინტერესებისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების შესახებ. მაგრამ მათ თავი შეიკავეს ქენჭისყრის დროს. ასეთი პოზიცია, ფართო თვალსაზრისით, მოწმობს, რომ ვაშინგტონი წინანდებურად აპირებს ყოველნაირად დააბრკოლოს რეალური ღონისძიებების განხორციელება გამალებული შეიარაღების შეზღუდვისათვის, რომელიც პლანეტის გარემოს მდგომარეობაზედაც ნეგატიურ გავლენას ახდენს.

„ებრაელ ამომრჩეველთა ბლოკი“ — ფიქცია

ვაშინგტონი, 1 ნოემბერი. ამერიკის ებრაული ორგანიზაციებისა და ებრაელ ამომრჩეველთა ბლოკის ლიდერებმა ოფიციალურ განცხადებაში ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ამერიკელ ებრაელთა ხმა მიეცა ალბერტ გორი-ს, ტენესი-ს სენატორ-ის, ალბერტ ბოუკერ-ის, ნიუ-ჯერსი-ს ფეხოსანთა ბრიგადის ყოფილ ოფიცერ-ის, ბიზნესმენ-ის, ბანკირ-ის, ფილანთროპ-ის, ებრაელ-ის, ბ-ბ. ალ-ის, ალ-ის, ალ-ის,

ᲖᲝᲗᲐ ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ

ᲙᲝᲯᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲗᲝᲜᲘᲡ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ

I

ასე თუ ისე გამეგება ამ ჭრელი ქვეყნის,
ვიცი, რას ფიქრობს კაცის მკვლელი,
სიკვდილმისჯილი,
რას ფიქრობს ცილისმწამებელი ანდა მოშურნე,
რას ფიქრობს კაცი,
როცა ანჩხლი მეუღლის შიშით,
დახმარებისთვის მოსულ დედას ცივად ისტუმრებს....
მაგრამ არ მესმის (ვერც ვერასდროს გავიგებ ალბათ!),
რას ფიქრობს დედა, ვინც უბიდან მოინყვეტს პირმშოს
და უსირცხვილოდ ვიღაც მდიდარს კარზე მიუგდებს,
ანდა ბაგაში ჩააბარებს ბაჭიასავით.
ეთქმის კი დედა? ან საერთოდ ადამიანი?
როგორ იძინებს, როგორ ღვიძავს ანდა საერთოდ
როგორ არსებობს, როგორ უდგას გული საგულეს,
იმ ცოდვით სავსეს ძუძუები არ უნივიან?
(კრუხიც კი კრუხიც ფრთებქვეშ მალავს თავის პირმშოებს
აიფოფრება და ქვეყანას შესძრავს ქოთქოთით),
მოხდება ხოლმე:
სხვისი ჯაფით და სიმწრით გაზრდილს,
მშობელი უცებ მიაკითხავს, თავს შეაბრალებს
და იქნებ კიდეც დაანგრიოს მყუდრო ოჯახი.
იქნებ მშობლები თავის შვილებს კიდეც ხვდებიან
სადმე ქუჩებში,
ტროლეიბუსში
ან სამსახურში
და არ იციან, ვინ არიან ერთმანეთისთვის.
ამაზე უფრო დიდი ცოდვა თუ არის კიდევ?

ეზო თეთრ-თეთრი წინსაფრებით გადაპენტილა —
თითქოსდა ფერმის წინილები ირევა მზეზე
რა უდარდელი ყივყივია,
რა მხიარული!
მე კი ამ ხმებში, ღმერთო ჩემო, რატომ ვკითხულობ
ბუდეებიდან ჩამოცვენილ ბარტყების ჭყლოპინს?
ოჰ, ომობანას თამაშობენ!
და რა იციან
ხვალ-ზეგ ცხოვრება მათთვის უფრო ომი იქნება
ვინემ დედ-მამით ზურგმაგარი ბავშვებისათვის,

სტუმრებს თვალებით ლოკავენ და გული ელევათ:
ვის წაიყვანენ?
ამოვიდა ვისი მშობელი?

დარჩენილები გალახული თვალებით ყეფენ...
თვალებით ყეფა ეს ყველაზე მნარე ყეფაა,
თვალებით ყეფა პროტესტია ყველაზე დიდი!

არც თურქობაა,
არც ბაცაცა ლეკიანობა.
აინშტაინის და კოსმოსის საუკუნეა,
ბავშვებს კი მაინც იტაცებენ.... (ო, არ შეშინდეთ,
ბაგის ბავშვებო,
თქვენ არავინ არ მოგიპარავთ,
თქვენი ბავშვობა სხვის ბავშვობას ამით მაინც სჯობს!).
კიდევაც გავხსნით ბაგა-ბაღებს
და ინტერნატებს,
მაგრამ ცხხეთა აშენებით ვსპობთ დანაშაულს?
ანდა სათბურის ყვავილები სჯობნის ბუნებრივს?

II

XI საუკუნეში გიორგი მთაწმინდელმა ათონის მთაზე 80 უპატრონო ბავშვი წაიყვანა ქართლიდან.

ზარების რეკვა-დარისხება ისმის გოდებად
ერი და ბერი ეკლესიის ბჭესთან გროვდება.

სამშობლოს ტოვებს ფერმკრთალი და სახეგამშრალი
ობოლ ბავშვთაგან შეკრებილი ქრისტეს ლაშქარი.
მშვიდობით კოხტა ჭალაკებო, კოხტა კორდებო,
ვერასდროს განახავთ, სამუდამოდ ალბათ გშორდებით.
მიაქვთ ჩხაკუნა ფანდურები, მიაქვთ ცელები,
არა შუბები, მახვილები თუ მშვილდ-ისრები
და ობოლ ბიჭებს ათონისკენ მიაცილებენ
კერიის კვამლი... იავნანა... ყრმობის სიზმრები.
და ერთი მუჭა, ერთი მუჭა მიწა ქართული,
რომლის სურნელის იქნებიან მუდამ ნატრულნი.
ქართველი კაცი, თუნდაც ბერი, განა მოცდება —
მრავალჟამიერს დათესავენ ყანა-ბოსტნებად.
კრიმანჭულს, ლილეს, „შენ ხარ ვენახს“ ათონს დარგავენ,
ვაზიან ხარდნებს მომართავენ, როგორც საკრავებს.
ხვალ-ზეგ ურჯულო მოგვადგება ურიცხვ რიგებით,
ხვალ-ზეგ 80 მეციხოვნით ცოტა ვიქნებით,

მაგრამ ქართული საგალობლის, ქართული წიგნის
80 მნათე — ოქროპირი მომავალს გვიქმნის.
ქართული სიტყვა ხვალ სიხარულს მოისთვლის ნეტარს,
ხვალ ფუტკარივით შეაგროვებს ღმერთების ნექტარს,
უცხოთა სიბრძნეს, ნიჭს ზეგარდმოს, აზრს მონინავეს
და ქართულ სულში, როგორც სკაში, დააბინავებს.
80 მგლის ლეკვს
მილალავს დიდი ათონელი 80 ბოზოლას,
80 ურა კვიცს,
და 80 მწევარს...
— გზა მშვიდობისა, წინაპრებო! მე გლოცავთ შორით,
საუკუნიდან მეოცედან მე თქვენი მნე ვარ...

III

მათ დაუნთეს ქართულ წიგნს ურიცხვი კელაპტარი,
სიტყვას უწრუპუნებდნენ ცხრა ზღვა, ცხრა მთა გადავლილს,
უწერიათ წიგნები მამულისთვის მლოცველებს —
წკვარამი ღამეები ცისკრებად გადმონერეს.
ნყეული ღამეები მრავალი ასეული
მთვარის ჩალმიანებად მამულზე შესეული.
...ნარსულიდან გვიყივის გადარჩენილ წეროსებრ
ათონზე ატანილი სული საქართველოსი.

სიტყვა ოგობას სინონიმებზე

ორთის აბლაბუდა...
ორთის მერიდიან — განედების და ტბის ჭავლივით,
თითქოს რადიოტალღებია მიჯრით ჩავლილი.

არ არის საქმე, სადაც მზაკვრულად
მისი ბეჭედი,
მისი დამლა ჯერ არ დაკრულა.
მტრული რადიოსადგურებიც გვანან ობებებს,
რადიოტალღებს ქსელავენ და ჩუმად ომობენ;
მწერო ფრთიანო, (თუნდაც კაცო,) არ მებრალები,
ბადე-მახეში რად ებმები, სად გაქვს თვალები?
ვისაც ფრთები გაქვთ, ვიცით, ვიცით გისაფრდებიან,
მაგრამ სიფხიზლე მეტი გმართებთ, ვისაც ფრთები გაქვთ.

ბაბა ჭკუითა
არ ემსხვერპლოთ ბაბაჭუათა!
აგერ ობობა რელიგიის აბლაბუდაზე
ყოველისშემძლეა ალბათ ბუდასებრ.
სამიზნეს მოპგავს აბლაბუდა ობობას ღერბით,
რადიოტალღებს — მათი სიგრძე, მათი განივი.
სამიზნეს მოპგავს აბლაბუდა
და როგორც მსხვერპლი —
ცენტრში ობობა გასუსულა ათიანივით.
ო, მუზა — ჩემო მშვილდოსანო,
იყავ ფხიანი,
სხიპე, გეთაყვა, ათიანში სიტყვა ფრთიანი!

უჩინმაჩინი რომ ვიყო

უჩინმაჩინი რომ ვიყო,
არავინ მყავდეს მოწმე —
ყველაფერს ავისრულებდი,
რაც მინატრია როსმე.

ჩამოვიელდი რესტორნებს,
ქორწილ-ქელეხის სუფრებს,
სადაც ლიქნის და სიყალბის
ვაკბანალია სუფევს;

ყანნს ჩავასხამდი კისერში
იმ უცნობებს და დოსტებს,
ვინც კრწანისს ხშირად
ახსენებს,
კოხტა-გორას და ნოსტეს.

ბერიკაობენ, მასხრობენ,
ხან სიმართლესაც ყეფენ,
მაგრამ მასხარის სიმართლეს
ბრბოც უცინის და მეფეც.

...არა ვარ უჩინმაჩინი,
მეოცნებე ვარ · მარტო,
არც ჰერკულესი არა ვარ
და რად არა ვარ — ვდარდობ.

არა ვარ უჩინმაჩინი
და არც ტყვილების გუდა,
ლექსი კი თავზე მახურავს
უჩინმაჩინის ქუდად.

მავანის სიმღერა ქაღალდის ღმერთებზე

არ არის ღმერთი!
არც ზეცაში, არც ოლიმპოზე!
ის ქაღალდზეა,
თქვენც ქაღალდის ღმერთზე ილოცეთ!

ყველგან არსებობს, ყველგან, ყველგან ქაღალდის ღმერთი,
არ ვიტყვი — მხოლოდ აფრიკაშია.
იგია შტამპის,
ათასგვარ ღერბის,
ბეჭდის და მელნის აპლიკაცია.
მისი მფლობელი ბედს როდი ჰყვედრის
თუ ჭკვიანია — თაფლის კაცია.

შენი წყალობით მეფე ხდება თვით მათხოვარიც,
ვითომ რატომ ხარ, რატომ რიოში?
ქაღალდის ღმერთო — ო, მაცხოვარო,
ღმერთო, შენ მერგე ლატარიაში.

შენა ხარ ღმერთი, პირველთპირველი,
შენდამი რწმენით ჯიბე ამევსოს,
მამაო ზეავო ყოვლადძლიერო,
შენ ღვთაებაო უზენაესო.

მე მორწმუნე ვარ, მორწმუნე ვარ რწმენით და ხვედრით,
მე მწამს ქაღალდის სამოთხე და
ქაღალდის ღმერთი!
ო, მე ქაღალდის ღმერთზე ვლოცულობ,
ქაღალდის რწმენა რელიგიაც მაქვს შესაფერი.

დიახ, ქაღალდის ღმერთზე ვლოცულობ
და მეც ქაღალდის წმინდანი ვარ,
სხვა არაფერი.

• •

გრიგორი რასპუტინი-ცარიზმის უკანასკნელი დღე

ქურდებისათვის გრიშკა ხარ, ბოშებისათვის — გრიშა,
მეფე-დედოფლის წყალობა მრავალს შეუკრავს კრიჭას
— გრიშკა, შორს წასვალ, ოხერო, ბედი ქორივით უსტვენს,
მხარზე შეისვამ უფლისწულს, მუხლზე დაისვამ რუსეთს.

გიყვარს კვიცივით ჭიხვინა ბოშაც, გიტარაც, სპირტიც,
კახპებთან გიყვარს „დურაკა“ და დედოფალთან ფლირტი.
— ეჰ მხიარულო ცხოვრებავ, — წუნკო უძღები ძუკნა —
ჩემო დევურო ხორხოცო, ჩემო დათვურო ბუქნა
სპირტივით შეგსვამ, შეგხვრიპავ არ მომყირჭდება ლოშნა,
თმებჩამოცვრილო სატანავ, დედიშობილა ბოშავ!
ჰე, ჰე, ვერაგო ცხოვრებავ იქნებ ერთგულიც მექნე,
მუხლზე დაგიმსხვრევ დაირად, ხვევნით დაგიმტვრევ ნეკნებს

— კმარა, გრიგორი ეფიმიჩ, არ შეგარჩენენ ამდენს,
ან საყვარელი მოგწამლავს ან მიგახვრეტენ სადმე...

გაქრება წუთისოფელი, როგორც სიზმარი სწრაფი —
გადარეული „ტროიკა“ და შამპანურის ქაფი.
ჰე, გოლიათო რუსეთო, ხარ დარდიმანდიც, მწირიც,
გოლიათს ჩაგძინებია გოლიათური ძილით.
ერმა და ბერმა გირწია აკვანი ბილინების,
ეჰ, საყვარელო, იკმარე, იკმარე ძილინების.

ცელივით შიშველ-ტიტველი გუთანს ჰკიდია ერი,
ვით ეკლესიას ჭილყვავი — მოგძალებია მტერი..
— — — — — — — —

ხვალ გადაივლის კომეტა წითელი კუდის გრეხით
გოლიათს გამოგაღვიძებს რევოლუციის მეხი...

• •

მოდის, მოდის, მოდის...

ერთხელ ქალაქში გამოვიდა ერის სინდისი —
მკაცრი, სასტიკი შემმუსვრელი ბლეფის, სიყალბის.
ბლეფი და ყალბი, რაც გვიპოვნა სულ ჩამოგვართვა:
ხმა, სმენა, ფული, საბუთები, სინდის-ნამუსი.
ზოგს ყალბი გულიც ამოგვგლიჯა,
ზოგს ყალბი ენაც,
ზოგს კი ღიმილიც! (დიახ, დიახ, ყალბი ღიმილი!)
სამგზეიროდ დაგვიტოვა, რაც ნაღდი გვქონდა,
დიახაც ნაღდი,
ჭეშმარიტი და არა ბლეფი:
ავლადიდება,
სავარძლები,
და მანქანები.
ახლა ბევრია მთლად გულო,
მთლად უსინდისო,
მთლად ულიმილო, ყრუ-მუნჯი და შეუსმენელი,
(ვეღარ გავიგეთ, ვინ მოიგო ან ვინ წააგო?“)

ერის სინდისი ჯერ ქალაქის ბაზრებს მიადგა:
და აწრიალდნენ ჩურჩხელები და ჯანჯუხები,
შემოეფხრინათ შერცხვენილებს ტანზე სიყალბე
და სპილოსძვლისფრად აქათქათდა ჭეშმარიტება.
ისინი გავდნენ ტანკრიალა და მორცხვ მონაზვნებს
ბანაობისას
ან მონასტრის აოხრებისას.
დახლზე კი ეგდო გაფშეკილი სიროფის ჩენჩო.

ქილებში თაფლი ბრდღვიალებდა მზის ყვითელ ლავად,
ხოლო ჩოგნები გიზგიზებდნენ მუგუზლებივით,
რადგან სიყალბე გაიძურწა დამფრთხალ ქურდივით
ცვილი,
თაფლუჭი,
კარტოფილის ჭრაჭუნა ფქვილი...

ბრგე, ხვავრიელი ბოსტნეული ნელში წყვეტს დახლებს,
მაგრამ რად გინდა —
არ ჭაჭანებს ბოსტნის სურნელი.
მე ეს ბლენძია პამიდვრები,
ფუყე კიტრები
იმ მდიდრის ბავშვებს მაგონებენ, იმ თამამ ბავშვებს,
გამოცდებზე რომ ქიმიაში ხუთებს იღებენ.

ერის სინდისმა შეიხედა საჭაშნიკოშიც:
ღვინო ისხმება:
იყიდება ტყუილ-მართალი...
ბოთლებში რჩება, ნახევარი ჭეშმარიტება,
ნახევარი კი უერთდება შშობლიურ ღრუბელს.

ერის სინდისმა მიაკითხა წიგნის თაროებს:
რაც ყალბი იყო იმ წიგნებში სულ წყლად ნავიდა.
წყალმა ნაშალა,
გადარეცხა,
ნალეკა შრიფტი
და ძირს
დახოცილ ქინქლასავით მიხვეტა სადღაც.
თაროებს შერჩათ ცარიელი ფურცლები, ყდები
და წიგნის სუნის ერთადერთი ჭეშმარიტება.

ერის სინდისმა დაიარა მთელი ქალაქი
და ვერსად ნახა, ვერსად ნახა წამლად სიყალბე!
რადგანაც ქრთამი,
გამოძალვა,
მომხვეჭელობა,
ქურდობა,
ფლანგვა,
ქორ-ვაჭრობა,
ნარკომანია,
უკანონობა,
გულგრილობა და სხვა ამგვარი
ეს ყველაფერი იყო მხოლოდ ჭეშმარიტება,
(ჭეშმარიტება და არა ბლეფი).

იმდენი წყალი გადმოდინდა ცოდვილ საქმეებს,
იმდენი წყალი....
წყალი, წყალი, წყალი და წყალი,
რომ ნუღა იტყვით....
და რატომღაც ღამით გაავდრდა!
წვიმდა და წვიმდა ჩქარი წვიმა კოკისპირული,
მდინარეები გადმოვიდა ნაპირებიდან...

დილით კი, დილით
ნეკროლოგში დანაკლისს წუხდნენ:
წუხელის წვიმამ დაალრჩოო ერის სინდისი...
და მაინც,
მოდის,
მოდის,
მოდის ერის სინდისი!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲯᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲡᲐᲯᲘᲗᲮᲐᲕᲘ

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲨᲘ



ᲫᲕᲔᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲪᲠᲣᲑᲐᲓᲣᲠᲘ

„ᲩᲕᲔᲜᲡ“ გვერდით არის კაცი თბილისში, ვერეზე გაზრდილი, რომელმაც დიდი სიყვარულით და გრძნობით დაგვანახვა თბილისის წარსული...

დღეგრძელი ბრძანდებოდეთ, კვლავ ამღერეთ თქვენი ფუნჯი, მხოლოდ თქვენი გულწრფელობა დახატავს ასე ლამაზად თბილისის წარსულს...

ჩვენი ვალია თქვენდამი პატივისცემით განვიმსჭვალოთო. დიდი მადლობა“. ამ სტრიქონების ავტორია ცნობილი მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი და იგი თვითნასწავლი მხატვრის, მიხეილ ხუბაშვილის ნამუშევართა გამოფენის შთაბეჭდილებათა წიგნიდან არის ამოღებული.

მიხეილ ხუბაშვილი ფერადი ბეჭდვის ოსტატია. იგი ამჟამად სამოცდაათი წლისაა. მაგრამ საყვარელ საქმეს გერ ელევა და კვლავ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში მოღვაწეობს, თავის ხელობას ახალგაზრდებს ასწავლის.

ხატვა კი ბავშვობიდანვე უყვარდა. სად ჰქონდა მაშინ ხელმოკლე ოჯახს იმის საშუალება, რომ მისთვის განათლება მიეცა. მიხეილი იზრდებოდა თერძების, მეთევზეების, მეყდლების წრეში, მათი ჭირითა და ლხინით ცხოვრობდა. დღისით მუშაობდა, ღამით კი ლამპის შუქზე ხატავდა.

გადიოდა წლები, მიხეილ ხუბაშვილს ფუნჯი ხელიდან არ გაუგდია, ასე შეიქმნა თბილისის კოლორიტული სურათები, თბილისელ მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი ტიპაჟი.

თბილისქალაქობის ზეიმის დღეებში საქართველოს მხატვართა კავშირმა თავის სახლში ერთი დარბაზი მიხეილ ხუბაშვილის ნამუშევრების პერსონალურ გამოფენას დაუთმო. აქ მხატვრის ნახატების მხოლოდ ერთი ნაწილია წარმოდგენილი. ბევრი მათგანი არაერთხელ ყოფილა საზვეთი ხელოვნების რესპუბლიკურ საკავშირო თუ საერთაშორისო გამოფენაზე ექსპონირებული. მის ნამუშევრებს მოწონება ხვდა წილად ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთსა თუ სხვა ქვეყნებში.

ექსპოზიცია თემატიკურად არის განლაგებული. ერთ კედელზე გამოფენილი სურათების თემაა „ქორწილი ჩემს უბანში“. ჩვენ თვალწინ ცოცხლდება მხატვრის მიერ ფერთა გამაში ამეტყველებული „ნეფე-პატარძალი“, „მახარობელი“, „ყარაჩოღელი ყოჩით“, „ფეშქაში“, „ხილის გამყიდველი კინტო“.

გამოფენაზე წარმოდგენილ ყველა სურათს თავისი ისტორია აქვს, ზოგს — ძალიან მხიარული, ზოგს კი სევდით სავსე. თითოეული ნამუშევარი მხატვრისთვის ძალიან ძვირფასია. ძვირფასია თუნდაც იმიტომ, რომ მათთან შეხვედრა ეს იქნება „მაჯანკალი“, „ვერ მორიგდნენ“, „ზებერი მეზურნეები“, „მამლების ჩხუბი“, „ობელა მეკურტნე“, „ჩვენი უბნის შემაწვნე“, „ძმა-ბიჭების საფლავზე“ თუ სხვა სურათები) აღსავსეა მოგონებებით.

მხატვარი თბილისელ მოქალაქეთა ტიპაჟთან ერთად დიდი გატაცებით ხატავდა ქალაქის ძველ უბნებს, ქმნიდა მუშათა კლასის გამოდვიძების ამსახველ ფერწერულ ტილოებს. მან შექმნა წიგნის ილუსტრაციებიც. ამ მხრივ აღსანიშნავია „კაცია ადამიანის?!“ „ქრისტინეს“ თავისებური ხედვა.

რა კარგი იქნებოდა, მხატვრის ეს ნამუშევრები ცალკე ალბომად დასტამბულიყო. იგი თბილისქალაქობის შემდგომი დღესასწაულის სტუმრებისათვის კარგ ნობათად იქცეოდა.

ლ. ᲮᲣᲑᲣᲚᲣᲠᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: თვითნასწავლი მხატვარი მიხეილ ხუბაშვილი (ზემოთ); მ. ხუბაშვილის — „ყარაჩოღელი ყოჩით“.

ᲗᲣᲨ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲑᲐ

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ რამ თქმულა თუშურ ხალიჩაზე, თუშ ქალთა დახვეწილ მხატვრულ გემოვნებაზე. და აი, ჩვენს საზოგადოებრიობას საშუალება აქვს მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზებში გაეცნოს თუშური ფარდაგების ნიმუშებს. გამოფენა მოაწყვეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და რესპუბლიკის მხატვართა კავშირმა.

ათვალიერებთ თვითნასწავლ ოსტატთა ნახელავს, ეცნობით მათ ავტორებს. „ნანული თუნთელის ხელით მოქსოვილი ფარდაგი“, „მ. გედევანიშვილის კოლექციიდან“, „ფარდაგი ქეთევან ძიძეგურის ოჯახიდან“, „სოფიო გოჩილაიძის ხელით მოქსოვილი ფარდაგი“, „ფარდაგი იდოიძეების ოჯახიდან“, „თ. მირზაშვილის კოლექციიდან“, „სალომე თავგბერიძის ხელით მოქსოვილი“ და სხვ. გამოფენაზე უმეტესად ახმეტის რაიონის სოფელ ზემო და ქვემო ალვანის ხალხური ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრებია წარმოდგენილი. გვაოცებს თუშ ქალთა დახვეწილი ოსტატობა, გემოვნება. ისინი ხომ ნატურალური, მათ მიერ შეგროვილი მცენარეებიდან ამზადებდნენ საღებავებსა და ასე ქმნიდნენ მრავალფეროვან ორნამენტებს. თუშეთში თურმე ყველა ოჯახს თავისი ორნამენტი ჰქონია, გათხოვილ ქალს თავისი ოჯახიდან მიჰქონდა იგი, ურწყამდა, უხამებდა ახალს და ქმნიდა საკუთარ ორნამენტს.

თუშური ფარდაგებისათვის დამახასიათებელია შავ-თეთრ გრაფიკულ ორნამენტებში გამოხატული მკაცრი კოლორიტი, სჭარბობს სევდის მოტივი, რომელიც მათი ცხოვრების პირობებით იყო გამოწვეული.

გამოფენის ერთი დარბაზი დაეთმო ახალ ფარდაგებს, აქ უკვე ახალი, ქიმიური საღებავებით შეფერილი ნამუშევრებია წარმოდგენილი. დამთვალიერებლები მადლობით იხსენიებენ გამოფენის ორგანიზატორებს, ამ საქმის დიდ მოამაგეს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, მხატვარ დ. ციციშვილს, საქართველოს დამსახურებულ მხატვარს თ. მირზაშვილს, მხატვარ ი. კოშორიძეს.

მ. ᲐᲘᲓᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: გამოფენის ერთ-ერთი კუთხე.

მ. ᲒᲔᲜᲒᲘᲣᲠᲘᲡ ფოტო.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ. აქ გამართულ იუნიორ მოფარიკაეთა (1961-63 წლებში დაბადებულთა შორის) საკავშირო ჩემპიონატში ვერცხლის მედალი მოიპოვა სპორტსაზოგადოება „ქარაშხალა“ წევრმა **დათო თურჭიამ.** იგი მეორე იყო მოხმალაეთა შორის. პრიზიორის მწვრთნელია გ. ლორთქიფანიძე. ახალგაზრდა სპორტსმენის ეს წარმატება მით უფრო სასიხარულოა, რომ რესპუბლიკას ამ ბოლო წლებში ფარიკაობაში კარგი შედეგები არა აქვს.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲓᲐᲤᲔᲑᲗᲐᲜ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ მიმდინარე ვ. გოგლიძის მემორიალის ჭოლო, მეთხუთმეტე ტურის წინ გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. კორდოსომ დაამარცხა მიხალჩიშინი, შუსლერმა—ზაიჩიკი. დაზავდნენ კორდოსო-შუსლერი, უბილავა-გურგენიძე, მიხალჩიშინი-აზმაიფარაშვილი, სანსი-სტურუა და გურგენიძე-აზმაიფარაშვილი.

ᲑᲣᲜᲘ, მეთხუთმეტე ტურში ყურადღების ცენტრში იყო სტურუა-ჯურჩიჩის პარტია.

სტურუას წინაშე ძალზე მძიმე ამოცანა იდგა: მას აუცილებლად უნდა მოეგო პარტია, 8 ქულა მოეგროვებინა და ამით საერთაშორისო ოსტატის ბალი შეესრულებინა. ჯურჩიჩი კი ამ ტურისათვის მეორე ადგილზე იყო. გადამეტებულმა რისკმა ვერ გაამართლა და პარტია გადაიდო ეტლების ენდშპილში, სადაც უპირატესობა ჯურჩიჩის მხარესაა.

ზაიჩიკს შუა თამაშში შეცდომა მოუვიდა კუბელ დიდოსტატ გარსიასთან, მაგრამ შემდეგ შეუპოვრად ითამაშა და არა მარტო გაათანაბრა მდგომარეობა, არამედ გამარჯვებასაც მიაღწია. მიხალჩიშინ-პრიბილის პარტია გადაიდო, ბაგროვმა მოუგო სანსს, აზმაიფარაშვილმა — კორდოსოს, ბრონშტეინმა — გურგენიძეს.

ტურნირში დაუმარცხებლად პირველობა მოიპოვა თბილისელმა ე. გუფელდმა — 11 ქულა.

ᲑᲣᲜᲘᲡ-ᲞᲘᲠᲘᲚᲘᲨᲘ გრძელდება ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. გათამაშდა გადადებული და მეთერთმეტე ტურის პარტიები. ლარსენმა გამარჯვებით დამთავრა ნიდორფთან გადადებული მეხვედრა, ხოლო ტიმანს დაუზავდა. ლუბოევიჩი ყიამზე შეუთანხმდა ჯიარდელის, ტიმანმა კი დაამარცხა კავალეკი. მეთერთმეტე ტურში ლარსენ-კავალეკის პარტია გადაიდო, ტიმანმა დაამარცხა ლუბოევიჩი, ხოლო კარპოვმა—ანდერსონი. ახლა ლარსენს 8,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

ᲡᲐᲤᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

● **ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ.** უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეათე ტურის მატჩები ასე დამთავრდა: „უაირათი“-მოსკოვის „დინამო“ — 0:1, „ტორპედო“-„ფახთაქორი“ — 1:0, „ნეფთჩი“-ცსკა — 1:0, კიევის „დინამო“-„სპარტაკი“ — 2:0, „ჩერნომორეცი“-„ლოკომოტივი“ — 1:0, „შახტიორი“-ასკ — 5:1, „კარპატი“-„ყუბანი“ — 2:1, „არარატი“-მინსკის „დინამო“ — 1:0, „ზენიტი“-თბილისის „დინამო“ — 3:2.

ოცდაათი ტურის შემდეგ გამამაშების ცხრილში გუნდების მდგომარეობა ასეთია:

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ კ.	20	6	4	57-19	46
„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“	16	9	5	40-21	41
„ᲖᲔᲜᲘᲢᲘ“	14	9	7	46-39	37
„დინამო“ თბ.	14	6	10	48-30	34
„ᲨᲐᲮᲢᲘᲝᲠᲘ“	13	8	9	43-34	34
ცსკა	11	10	9	30-29	32
„ᲩᲔᲠᲜᲝᲛᲝᲠ.“	11	8	11	28-30	30
„დინამო“ მნ.	10	12	8	36-34	30
„ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘ“	10	11	9	35-34	30
ასკ	9	10	11	37-39	28
„ᲣᲐᲘᲠᲐᲗᲘ“	9	10	11	29-39	28
„ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“	8	10	12	24-28	26
„ᲜᲔᲤᲗᲩᲘ“	8	9	13	26-38	25
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ მ.	7	14	9	25-28	24
„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“	8	7	15	31-39	23
„ᲧᲣᲑᲐᲜᲘ“	7	9	14	26-37	23
„ᲙᲐᲠᲐᲞᲐᲢᲘ“	7	8	15	21-42	22
„ᲤᲐᲮᲗᲐᲥᲝᲠᲘ“	6	8	16	21-38	20

● **ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ.** მოსკოვში დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშების დასკვნითი ეტაპი, რომელშიც დინამოელთა ოთხი კოლექტივი მონაწილეობს. გთავაზობთ პირველი ტურის შედეგებს: კიევის „დინამო“-ლვოვის „დინამო“ —11:7, მოსკოვის „დინამო“-ალმა-ათის „დინამო“ 3:3.

ᲠᲐᲠᲩᲔᲚᲔᲑᲘ ᲠᲐᲓᲘᲝᲨᲘ

ᲐᲗ ᲓᲦᲔ მასპინძლობდა რაჭ-ლეჩხუმელი მიწა-სოფლის შეგროვებულ, რომელთაც ბრალისლავის რაჭის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის თავმჯდომარე ფანანგოზ ... სლეზავი ხელმძღვანელობდა. სითბო და სიხარული დაახვედრეს ქართველმა რაჭველებმა სლოვაკ რაჩელებს. ყველა ამბროლაურელისათვის ცნობილია ამ კოოპერატივის მისამართი, მისი მშრომელების შემართება და სასახელო მაჩვენებლები. ერთმანეთთან შეჯიბრებაში ჩაბმულებს საერთოდ მიგვაჩნია ერთმანეთის სიხარული და გამარჯვება.

სასურველი სტუმრების შეხვედრებმა რაიონის მუშათა კლასის, კოლმეურნე-გლეხობის, ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, ახალგაზრდობასთან ახალი ფურცელი გადაშალეს ორი რაჭის „მეგობრობის წიგნში“, რომელიც ამ 15 წლის მანძილზე იწერება.

ამ რამდენიმე დღის წინათ სლოვაკმა მეგობრებმა სადმელის ქუჩით მიგვიწვიეს თავიანთ ზურეებში, ჩვენთან კი ბრატისლავა-რაჩის ქუჩით შემობრძანდნენ სტუმრები. ისინი მარტო ჩვენი კი არა, მთელი საქართველოს სტუმრები გახდნენ. რაჭველებს რამდენიმე დღით „ოოგეტაცეს“ სლოვაკი მეგობრები ონის, ქონულეთის, თელავის რაიონის მშრომელებმა, რომლებიც ჩინებული მასპინძლები აღმოჩნდნენ.

ახლა ამბროლაურში ვენაჩის და ვაზის ზეიმია. იქაც, სლოვაკიის რაჩაშიც ასეა. დღეს მაჟარი, ზეიმი აქვს გამრჯე მევენახეს და, შრომის სადიდებელთან ერთად, მეგობრობის სადღეგრძელოსაც მიირთმევენ.

დ. ᲓᲐᲠᲐᲮᲕᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

ᲒᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲮᲚᲝᲔᲑᲐ

ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ შემოდგომის ბოლო თვეა. ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში ამ დროს უკვე ზამთარი იწყება, ხოლო საქართველოში კვლავ გრძელდება შემოდგომის ამინდები. თუმცა ხშირდება ცივი ჰაერის მასების შემოჭრა, რის გამოც კლებულობს ჰაერის ტემპერატურა. კლიმატური მონაცემებით, ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა ოქტომბერთან შედარებით 4-8 გრადუსით დაბლია და დაბლობ რაიონებში მერყეობს 8-13, ქართლის ბარში და კახეთში 4-8 გრადუსს შორის, მაგრამ ცალკეულ წლებში იგი ნორმისაგან შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდეს.

ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი ბარში აღწევს 25-30, მთიან რაიონებში — 20-26 გრადუსს, ხოლო აბსოლუტურმა მინიმუმმა შესაძლებელია დაიწიოს კოლხეთის დაბლობზე 1-9, ქართლსა და კახეთში 15-20 გრადუს ყინვამდე. უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში ყველაზე თბილი ნოემბერი იყო 1962, 1966 და 1970 წლებში, ხოლო ყველაზე ცივი 1973 და 1978 წლებში.

როგორი ამინდი იქნება მომდინარე წლის ნოემბერში? ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით, ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა რესპუბლიკის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე მოსალოდნელია ნორმასთან ახლოს..

ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს ბარში ღამით იქნება 7-12, დღისით 17-22 გრადუსი სითბო, თვის ცალკეულ დღეებში ტემპერატურა დაიკლებს ღამით 0-5, დღისით 9-14 გრადუსამდე. **ქართლის ბარში** და **კახეთში** ღამით იქნება 2-7 გრადუსი სითბო, ცალკეულ დღეებში — 1-6 გრადუსი ყინვა, დღისით — 10-15 გრადუსი სითბო, ზოგჯერ უფ